

ქართული  
თავისუფლება

# სამართალი





შ ი ნ ა ა რ ს ი


ქურონალ „ჯეჯილისა“

I	დიდებული მგოსანი აკაკი, სურათი . . . . .	66
II	აკაკის გარდაცვალების გამო, ლექსი ფ. გორგაძისა .	67
III	აკაკის ხსოვნას. ზატარა თამარა გომართლისა . . . .	69
IV	აკაკის დაკარგვა (წაკითხული ჯანათლების სკოლაში) იტა ნაკაშვილისა . . . . .	70
V	მგოსნის ხსოვნას. ლექსი შიო მღვიმეჯიასა. . . . .	73
VI	ჩემი ბავშობის მოგონება. ეკ. მესხისა. . . . .	75
VII	აკაკი. ივ. გომართლისა . . . . .	78
VIII	კავკაზის ქართული სკოლის მოწაფეების წერილი .	82
IX	წელდის თავი (დასასრული) გ. ღ. ჭრელაშვილისა .	83
X	შირაქში (გაგრძელება) ივ. გომართლისა. . . . .	90
XI	წვრილმანი: გამოცანა, გასართობი უჯრები და რე- ბუსი . . . . .	100
—————		
XII	აკაკი ლექსი გ. ბოკერიასი . . . . .	101
XIII	აკაკი წერეთელი და მისი პოეზია დათაქო იაშვილისა.	103
XIV	წმიდა ყრმის მტოედები (პოლშური ლეგენდა) აღ. ნათაძისა (დასასრული). . . . .	117
V	ამბავი ზესკნელისა, წერილი მეორე იღ. აღსაზიშვილისა	121

„ჯეჯილ“-ზე

მიიღება ხელის მოწერა

1915 წლისა.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა



საქმის წიგნი ნახატებიანი  
შურნალი.

იხარდეთ, მაგისტრალსა და პირდაპირსა  
დაპურდეთ, უნდა ჯანაო!



თბერვლი, 1915 წ.

◆ წელიწადი მეოცდაექვსე ◆



თბილისი

თ ბ ი ლ ი ს ი  
ელექტრომბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.  
1915





დიღებული შკოსანი აკაკი.

ი. შ. ა. მამბრეჯიანი

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

2181





# აკაკის გარდაცვალების გამო.



ემო ჰატარავ,  
მომაჰუარ სძენა.  
ა, რა გაიმბო  
შწუხარემ შენა!..

სომ წაგიკითხავს  
აკაკის ლექსი,—  
სომ გასსოვს მისი:  
„ჰაწა ალექსი“?..

არ გისწავლია:  
„მუშური“, „ეანა“  
და კიდევ ბევრი  
სხვა ამისთანა?..

ჩემო ძვირფასო,  
აღარ გკუთხვს დღეს ის;  
გამოგვესაღმა  
იგი მარადის!..

და ასე ობლათ  
დაუშით ჩვენ დღესა...  
ვაი, ჩვენს შავს ბედს  
და სიცოცხლესა!..




აწ ვინ გაგვითბოს  
 გული გრძნობებით,—  
 ვინღა დაგვატყოს  
 ტბილის ლექსებით?!.

ვინ ააქედვროს  
 ციური ქნარი,  
 ვინ ანუგეშოს  
 მტირალ-მწუხარი.

და ვინ გვიამბოს  
 იგაგუარაკი.—  
 აღარ გვეავს ჩვენნი  
 ტბილი აკაკი!..

ვ. გორგაძე.



13

...მეტივე უნდა მოიხსნებოდა  
 მდენ მდენ მძევლს ითვ  
 ...!მეტივე უნდა მოიხსნებოდა



## საპაპის ხსოვნას.

**ვ**ელამ იცით ჩემო პატარა მეგობრებო, რომ მთელი საქართველოს დიდი ღამა აკაკი გარდაიცვალა 26 იანვარს თავის სოფელში. ჩვენ თამაშობის მაგივრათ უნდა ვიკლოვოთ დიდებული შგოსანი. მოიგონეთ, რამდენი ლექსები, თხზულებანი წაგიკითხავთ მისი; ეველგან გამოხატულაა სიუზარული ხალხისადმი. მას თავის სიცოცხლეში ხელიდან კალამი არ გაუგდია, ახლა კი ჩვენი დაუფიწური შგოსანი წენარათ ჩავიდა ბნელ სამარეში. ის ველარ ისილავს ბუნებას, ველარ დასტკებება თავის საეუარელი სამშობლოს სიღამასათ. ველარ აიღებს ხელში კალამს, ველარ დასწერს თავის ტკბილ ლექსებს, ის აღარა გუუავს. ველარ ვისილავთ მის წენარს, მშვიდს კეთილ სახეს.

თამარა გომართელი. (10 წლისა)







# აკაკის ღაკარგვა.

(წაკითხული „განათლების“ სკოლაში).



ოკვდა ჩვენი საუკუნელო  
მგოსანი აკაკი! ღრმა მწუ-  
ხარებამ ძეიბურო ჩვენი  
სამშობლო! ჩვენც, ჩემო  
ზატარებო, შუეერთდეთ ამ  
საერთო მწუხარებას, რო-  
მელსაც განიცდის მთელი  
ქართველი ერი. ვინ იყო  
აკაკი! ან რისთვის დასტო-

რის მას საქართველო? მე მინდა მოკლეთ გაგაცნოთ  
ამ დიდებული კაცის ვინაობა და მისი ღვაწლი მს-  
მულისადმი.

აკაკი დაიბადა 1840 წ. დაბა საჩხერეში, სუთ  
წლამდე ის იზრდებოდა თავის ძიძასთან სოფ. სავა-  
ნეში, შემდეგ დედასთან. მანვე ასწავლა ქართული  
წერა-კითხვა. 10 წ. აკაკი მიიბარეს ქუთაისის გიმნა-  
ზიაში, რომლის დათავრების შემდეგ შევიდა ჰეტრო-  
გრაფის უნივერსტეტიში. 1862 წ. გამოვიდა უნივერ-  
სტეტიდან და შეუდგა ჩვენი ქვეყნის სამსახურს.  
ღექსების წერა დაიწყო გიმნაზიაშივე, 13 წ. იყო,  
როცა დასწერა პირველი ღექსი, მას შემდეგ დღემდე  
კალამი ხელიდან არ გაუგდია, კვატკობობდა თავის

მშვენიერი ლექსებით, თქვენი საუვარელი ჟურნალებს „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“ ფურცლებს სძირბდ ამშვენებდა აკაკი თავის ადვილი გასაკები ენით დაწერილი ლექსებით. რომელს თქვენგანს არ უგვარს და აღტაცებით არ სწავლობს მის ლექსებს. აბა გაიხსენეთ „ჩიტი ვალიაში“! განა მშვენიერება არ არის, განა თქვენც არ ვანიცადეთ ამ ჰატარა ჩიტთან ტყუობა? რომელმა თქვენგანმა არ გაიხიარა მწუსარება დედ კატის, რომელსაც მსუნაგმა კატამ თავისი დანაძაული გადააბრალა; განა გულია სიღრმეში არ ჩაგორჩათ, ჰატარა ონაგრობო, ჭრელი ჰეჰელას თხოვნა ვედრება, როცა თქვენ უდიერთ ექცევიტ მათ, „რაც დდე მახვს ტკბილათ ვატარებ, ჩემს ნებაზე დაფურენო, მაგრამ დდეგრომელი არა ვარ, გამიშვი, ნულარ მაცდენო.“ რამდენი ერთი ჩამოგითვალთ, მოგაკონთ ის ძვირფასი მარგალიტები, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ ჩვენმა აღმხრდელმა აკაკიმ. მოიხსენეთ ზღვა, მუშის ნატვრა, განთიადი. თითოული სიტყვა, თითოული აზრი აღტაცების ცრემლებს იწვევს თქვენს თვალებზე, გულში ღრმათ იბეჭდება და უთვალავ ფესვებს იკეთებს.

რათ არის საუვარელი ჩვენთვის აკაკი.? იმისთვის, რომ ის არის ჩვენი საუვარელი მამულის მკოსანი, მოძღვრალი და მოტირალი მასი წარსულის და აწმეოსი. მთელი თავისი სიცოცხლე მას შესწირა. მას უსომოთ უგვარდა სამმობლო, მისი სიუბარული განსხვავებულია—იგი აღმერთებს მას, მაგრამ იმავე დროს ის ამხნევს ყოველივე ნაკლს თანამედ-



როვე საზოგადოებისას და თამამათ გვითითებს მასვე აკაკის არ მოსწონდა ახლანდელი საქართველო და მისი მამულის შვილები; — მისი სადიდებელი გპირები არიან: თამარი, ჰატარა კახი, დიმიტრი თავდადებულნი, ბავრატ დიდი, თორნიკე და სხვა მამულიძეები, რომელნიც თავგანწირულათ იბრძოდენ საქართველოს თავისუფლებისთვის.

სამშობლო — აკაკის სატი იყო, რომელსედაც ის ლოცულობდა 70 წელიწადი. „მე რომ მიუვარდი ის სიუვარული მომაკვდავთ ერთ არ გამოითქმის, სიუმაწვილიდან მწარ სიბერემდე ოქრო ქსოვილათ გეფინებოდი, და ვით სატის წინ წმინდა სამთელი შუქ-მოპარვალე უხმოი ვდნებოდი.“

ასე ძლიერ უყვარს აკაკის თავისი „ცაფირუს, ხმელეთ-ზურმუსტო ჩემო სამშობლო მსარყო“. ი, ბავშვებო, ის ძალადი წმინდა გრძნობა, ის უზომო სიუვარული სამშობლოსადმი, რომელიც ჩვენ კვიანდერმა აკაკიმ.

„კრული იეოს მისი სხელი, ვინც მთა კასცვალოს ბაჩყედა, თვის ტომის დამწუნებელსა ჭირი მიუვა კარხედა“ ამბობს აკაკი დიანს! აკაკი წუეკლაკრულვას უგზავნის მას, ვინც გადაგვარების გზას დაადგება, ვინც თავის დედაუნას და ერს უღალატებს, ზურგს შეაქცევს. ვეცადოთ ჩვენც მტკიცეთ დავიცვათ დიდებული მკოხნის ანდერძი. ამისთვის საჭიროა მისი ჰოეზიის შესწავლა, ამას გაგვიადვილებს აკაკის მსუბუქი, მოქნილი, ადვილათ განსაკები ენა. გულ მოდგინეთ შევისწავლოთ ჩვენი მრავალ ტანჯული ერის ლიტურატურა, რომ ცოტათი მაინც დაუახლოვდეთ აკაკის საუვარელ გპირებს.





## მგონის სსოვნას



„ჭრელი ზეჯელა დათენთა“,  
ტარილმა, ცრემლის დენამა,  
ფერი ქუკურთო, დათალსა  
მოულოდნელმა წუენამა.

ბაღღმა რა ნახა ამ ეოფით,  
დაღონდა, აღარ იამა;  
იფიქრა: ვაი თუ მეტი  
სექტარი ასვა იამა?!

ან იქნებ ჩემმა დაიამ  
გულს დაიბნია მძივათა,  
რა ნახა დაწუხებული  
ისევ ძირს დასვა ცივათა?!

ეძრახა: — რისთვის გავლია,  
კოპწიავ, შავი არძია?  
— ცელქო, სხვა დროზე ამ დილით  
გვიან გამოხველ კარძია!

იცი, რა გვითხრა ნიავმა  
მე და ჩემს დობილ იასა:  
დღეიდან ვეღარ ნახავთო  
ძვირფას ავაკი ძიასა!

იკმარა რაღა კი იშრომა



და ქვეყნისათვის ეცადა;

კეთალი ჯაფით მოღლილი  
 გადასახლდომო შეცათა.


სულ კი არ გაუწირივართ  
 სხვა სოფლათ დამოუვრებულსა,  
 კვლავ ლოცვას გამოგვიკახანის  
 ჩვენ და ბავშვების კრებულსა.

ზატვისაცემლათ მოვისსენ  
 მეც ფრთეთებან ჭრელი არძია;  
 დღეს ეველა ასე იქცევა  
 დროებით მთა და ბარია.—

შიო მღვიმელი.



# ჩემი ბავშობის მოგონება.



არგად არ მახსოვს, 1866 თუ  
1867 წელს. მე აკაკი ჰირ-  
ველად ვნახე. ის ჰირველი  
ნახვა დღეს აქნობამდი, მო-  
სუცებულობამდის, კიდევ გუ-  
ლში მაქვს ჩაბეჭდილი და  
როცა მომაგონდება სოლმე.

ჩემს აღტაცებას სასლუჯარი არა აქვს.

ამ ხანებში იყო მარტო ერთად ერთი ლექსთ-  
კრებული „ჩონგური“ რომელიც ჰეტროგონდში ქართ-  
ველ წრეს გამოცდა. ეს კრებული მეც მქონდა და  
დიდის სიამოვნებით და აღტაცებით ლექსებს ზეპირ-  
რათ ვსწავლულობდი. იმ კრებულის ავტორები, რო-  
მელნიც კი ცოცხალი იყვნენ, ეველა მენახა მაგ. ილია  
ჭავჭავაძე, რ. ერისთავი და სხვანი და ეველას თაუ-  
ვანსა ეცემდი და, როგორც ზატარა მწერი დიდებულ  
ლომს, ისე შევსცქეროდი მათ. ეველასე უფრო აკაკის  
ლექსები მომწონდა, სუბუქი ენის და მუსიკალური  
ლექსთა წყალობით მათი დასეპირება მესურნებოდა  
და მიაღვილდებოდა. ლექსი რომ ორჯერ ან სამჯერ  
წამეკითხა დამახსოვრდებოდა და შეპირათ გავიძეო-  
რებდი. ეოველ იმის ლექსის შესწავლასე ჩემ უფროს





მძას\*) ვაწივდებოდი, თუ როდის ან ოდესმე ვაწივდებოდა ვნახავდი, მე ის სულ განსხვავებულ ადამიანათ მკვება და წარმოდგენილი

ჩემი ძმა მხარდებოდა, რომ, როგორც კი აკაკი თბილისში ჩამოვი, (ის მაშინ მოსკოვი ცხოვრობდა) უთუოდ დაჭვავტყეებს. მე კარგა ხანს მოუთმენლათ მოველოდი, მაგრამ, როგორც ბავშვს, ძაღვს ვადაძა ვიწუდა. ერთხელ სასწავლებლიდან დავბრუნდი, ჩვეულებრივ ჩემი ჩანთა თავის ადგილას დავაბინავე და ესოძი სათამაშოთ ვავედი. ნახევარ საათმა არ გავიარა, რომ მესმის ჩემი ძმის ხმა, მხიარულათ მემანის: კეკე, მოდი, ძაღვს, შენი დიდი ხნის სურვილი აგისრულდა. რასაკვირველია ვერ მივხვდი რაში იყო საქმე. მე ჩემი უფროსი ძმა ძალიან მანებიერებდა და ხშირად მშვენიერი საჩუქრები, — ხან წიგნი, ხან სათამაშოები, ხან ლაშასი საკაბეებ-მოჭქონდა ხოლმე, მე სინარულით იმის ოთახისაკენ ვავექანე და თამაშათ ვარები შევადე. სასოგადოთ ძალიან მორცხვი ვიყავი; უცხო კაცი რომ დავინახე საძინლათ ვავწითლდი, თვალები ძირს დავუჭვი. ჩვეულებრივად ჩავბუქნე, ჩემ მასწავლებლებსაც ხან დარიგებულა ვიყავი, რომ უცხო ვინმესთან, ან სტუმართან როცა შევიდოდი უთუოდ უნდა ჩაქებუქნა. უცბად მშვენიერი ტკბილი ხმა მომესმა: „მოდი ჩემთან, ჩემო თაყვანისმცემლო, ზატარა ქალო“. ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გამაწითლა და თავიც უფრო ძირს ჩავ-

\*) ჩემი უფროსი ძმა იყო სტეფანე მელიქიშვილი, რომელმაც ქართული სტამბა დაარსა და გაზეთ „დროების“ გამომცემელი იყო.

დუსე. ბოლოს ჩემმა ძმამ ალერსიანათ მითხრა: „რათა გრცხვენინან, შენი სასურველი და სასატრელი აკაკი არის. შენი გაცნობა უნდა და თავისი ლექსების გავცნება.“

მეც, ცოტა არ იყოს, გავთანამდგი, ახლოს მივედი და რომ შევხედე ჩემს გაკვირვებას და აღტაცებას სასულჯარი არა ჰქონდა. იმისმა მშვენიერმა და ლამაზმა სასემ, სუჭუჭმა თმამ, თვალების კეთილმა გამომეტრეველებამ ისე გამაოცა, რომ გაქვავებულივით ვიდექი ერთ ადგილას და თვალს არ ვაშორებდი. მაშინ კარგი თორმეტა წლისა ვიყავი, მაგრამ ისეთი გამსდარი, დაღეული, რომ აკაკიმ სელში აძიევანა, კალთაში ჩამისვა და ალერსიანათ მითხრა: „აბა რაშე ლექსი მითხარი“. ყოველი მისი სიტუვა გამაცოცხლებელ ნექტარივით იწვეუებოდა ჩემს გულში, მეც გავთანამდგი და მთელი სადილი ყოველი იმის კითხვაზე ჰასუსს ვაძლევდი და რაც კი ლექსები ვიცოდი ეველანფერი წინ ვადმოუღაგე და სულ თვალებში შევსცქეროდი. ესლა მოსუცებული ვარ და უნდა გამოგატედეო, ბავშვებო, რომ ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწუდება დიდებული აწ განსვენებული ჰოეტის აკაკის სახის სიმშვენიერე და ტკბილი სმა. კარგა ხნის შემდეგ, როცა ლანარაკში შევებოდი, ან რაშე შენიშნას მივცემდი, მაშინათვე მეტეოდა: „როგორ მიბედავ, დაგავიწუდა ის დრო, როდესაც შენ ჩემ კალთაში იჯექი და მოწიწებით ლექსებს იმეორებდი“. სწორედ რომ მართალს ამბობდა ის ჩემი მეგობარი, საუვარელი აკაკი—ძანამ ცოცხალი ვარ არ დამავიწუდება. დემართმა განსვენება მიანიჭოს, ჩემს სიუმაწვილის სათავევანებელ, დიდებულ მეგობარ, აკაკის!



# ს კ ა კ ი.



ემო, ზატარა შკითხვულებო! ოცდა ექვს იან-  
ვარს ჩვენს ბედურულ ქვეყანას შეტად დიდი  
შუბედურება ეწვია: სამუდამოთ მოგვშორდა ის  
ადამიანი, რომლის სათაუვანებელი სასკელი მთელს  
ქართველობას ზირსედ ეკიდა.

ეს იუო აკაკი.

რომელ თქვენგანს არ გაუგონია ეს სასკელი?  
რომელი თქვენგანი არ დამტკებარა აკაკის გრძნობით,  
აზრითა და მუსიკით აღსავსე ლექსებით?

რითი დაიშასურა მთელი ერის სიუვარული და  
თაუვანისცემა ამ უკვდავმა ქართველმა?

თვისის სიმდიდრით?

მას სომ სიმდიდრე არ უუვარდა და არცა ჭქონ-  
და, — შებრალათ, თითქმის დარბიულათა სცხოვრობდა.

სამსახურით, ან და დიდი ადგილით?

ის არავითარ სამსახურში არა ეოფილა.

გვარიშვილობითა და ჩამომავლობით?

მართალია, აკაკი დიდი გვარის შვილი იუო, მაკ-  
რამ თვისი გვარის შვილობა მას ერთხელაც არ წა-  
მოუყენებია წინ. ზირიქით იმის თვალში გლესნი, აზ-  
ნაური და თავადი სულ ეველა ერთი იუო, მას სწამ-  
და ერთი, მთლიანი ქართველი ერი.

მაშ რითი?



რითი და თვისის ნიჭით, კრძნობით სავსე გუ-  
ლითა და მამულის სიუვარულით.

ცხოვრებაში იარი გზა ღრის: საპირადო და სა-  
ზოგადო. საპირადო გზას რომ დასდგოქოდა აკაკი,  
ფუფუნებაში და სრულს კმაყოფილებაში გაატარებდა  
თავის წუთის სოფელს, მაგრამ მან უარჰყო ეს გზა:  
რას მიქვია პირადი ბედნიერება, როცა ჩემი სამშობ-  
ლო უბედურიაო, უთხრა მან თავის თავს და თვისი  
ცხოვრების მიხნათ სამშობლოს აღდგენა, სამშობლოს  
აღორძინება და გამოფხიზლება დაისახა.

სული და გული, ბუნების ნიჭი  
სიჭაბუკე და წამი უოველი.

ზოეტმა თავის საუვარელ სამშობლოს შესწირა.

ეველა ქვრივობოლი და გაჭირვებული აკაკის  
განსაკუთრებით უუვარდა და აი რას ურჩევდა თქვე-  
ნისთანა ბავშებს:

„ობლები და ღარიბები ქვეყნათ ბევრი იტანჯება,  
ზოკს დედ-მამა აღარა ჰქეავს, ზოკი სიცოცხითა კვდება,  
უმწვილებო, ამკვარ საწულებს თუ რომ სადმე

შეეუაროთ,  
ვალე გაქეთ, რომ ძმებივითა მიეფეროთ, შეიუვაროთ“.

მაგრამ ვაი იმისი ბრალი, ვისაც აკაკი შენიშ-  
ნავდა სამშობლო ქვეყნის ორგულობას, ეველაფერს  
აპატებდა ის აღაძიანს და ამას კი არასოდეს.

არ გახსოვთ მისი სიტყვები:

კრულ იეოს მისი სახელი

ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!



თვის ტომის დამწუნებელსა  
 ჭირი მიუგა კარსედა!

გადაგვარების მოსურნე  
 ბუნებისაგან კრულია!  
 მისი ზიზადი ღირსება  
 ყოველგან დახაგრულია!

კრულია მისი სსენება,  
 ვინც დაჭკობს დედა-ენასა,  
 თვის ტომს ჭლალატობს და მითი  
 თვით ჭფიქრობს ძალა ფრენასა!

აკაკის ენა ტკბილიც იყო, გესლიანიც. ტკბილის  
 ენით ის ამკობდა ვეელას, ვისაც სიტყვით თუ საქ-  
 მით ჩვენს ქვეყნისათვის სარგებლობა მოჭქონდა.

კურთხეულ იქონს ამგვარი შვილი!  
 და ამას ამბობს ეს ჩემი ქნარი:  
 ვინც სამშობლოსა უყო კეთილი,  
 ჩვენი მამაცა მსოფლოდ ის არი!

სოლო ვეელა გაიძვერას, ქვეყნის ორგულსა და  
 მოლალატეს მისი ენა ისარივით ესობოდა გულში.

თითქმის მთელი სამოცი წელიწადი დარაჯათ  
 უდგა აკაკი ჩვენს საქართველოს, თავს დასტრიალებ-  
 და მას და უხმობდა ვეელას: სამშობლოს ასაუვავებ-  
 ლათ ისრუნეთ, მარტო დღიური ლუკმა ჰურის მო-  
 ნები ნუ იქნებითო.

ფუ! შერცხვეს კაცი სხვის მონა  
 და დღიურ ლუკმის მღეენელი!

თვისი ძლიერი სურვილი აკაკიმ გამოჰსატა  
თავის ლექსში:

მინდა, რომ ჩემსა მხარესა  
ვსედავდე თავისუფალსა,  
რომ ძალით ვერ აშინებდნენ,  
ვერც ნებით უსვევდნენ თვალსა!  
მინდა, რომ მისი სახელი  
გათქვას ძველებურადა,  
და მისიანი ეველანი  
ერთად სცხოვრობდნენ მშურადა!



აკაკის განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები და აი  
რა ღაბობათ ანდერძში, — უქმე დღეს ჩემი საფლავი  
თქვენის თამაშითა და ცეცქობით დაატყბეთო.

ის მირჩევნია ძვირფას ძეგლს...  
უოველგვარ სანახაობას,  
რომ იქ უქმე დღეს ვსედავდე  
მოხარულ ქართველ თაობას!  
იქ თამაშობდეს, ცეცქობდეს!  
ესორცებოდეს ქართველ ერს!  
და ძველებურად დამღერდეს  
ძველებურ „ძრავალ-ჯამიერს“!

აახრულეთ, ჩემო ბატონო მკითხველებო, აკაკის  
ანდერძი და სძირათ ინახულეთ მისი წმინდა საფლავი:  
ის გააღვივებს თქვენს გულში სიუვარულს სამ-  
ძობლოსადმი.

ივ. გომართელი.




# ჩვენი მივიღათ უაგდავი წაჩილი:

ბატონო რედაქტორო!



წარეთ დაგვალონა ჩვენმა აკაკის სიკვდილმა.  
ბევრმა კიდევაც ვიტყვით. ვინღა დაგვიწერს  
აკაკისთანა კარგ ლექსებს. კარგი იყო აკაკი,  
მაშა იყო ჩვენი... ვგლოვობთ.

!აკაკის ქართული სკოლის მოწაფეები.



1.8.

აკაკის აკვანი.





# წელდის თავი

(დასასრული)



კი რა დამაძინებდა, მინდოდა შენასა  
რა ნაირათ მზადდებოდა სახალწლო  
საკვლეველი, რომელსედაც არა ერთსე-  
ლა შენდა გაგონილი ბებიასაგან და  
თვალთ კი არ შენასა.

ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც თაფლი კარგათ  
დაწითლდა, დედამ ამოუკიდა შიგ დაჭრილი ნიგო-  
ზი. ნიგოზი კარგათ მოიშუშა თაფლში და მოვაქ-  
ციეთ რამდენსამე სინსე. ერთი კარგი თეფშიც ცალ-  
კე გავაკარით საკვლეველისთვის. მამამაც გამოიღვიძა.  
ამ დროს გარეთ ერთი თოფის სროლა და მძლუ-  
ბის ღაჟ-ღაჟი იყო, ბებიასაგან გაგონილი შენდა,  
რომ წელდის თავის ღამეს კუდიანობის ღამეცა ჭკვი-  
ანო და, თუ სადმე კუდიანი არი სულ უნდა ამოი-  
წვიტოსო. თოფების გრიალზე მამამაც მოიგონა,  
რომ იმანაც უნდა გააგოროს, თუ ორი და სამი არა,  
ერთი კუდიანი მაინც, მივიდა დედა-ბოძთან, ჩამოი-  
ღო კანოდან ტალიანი მაქარი და გავიდა გარეთ.  
მეც ავედევნე უკან, რომ დაშენასა მკვდარი კუდიანი  
როგორი იყო. გავიდა თუ არა დერეფანში, მამამ  
მძჭმართა თოფის ტუჩი ცისკენ და გაიხროლა. მეო-



რეს დაუწყო ამსება. ამ დროს მე მიკუხსლოვდი  
 იას და ვკითხე: „მაძილო, თოფი ძაღლა ცაში რათ  
 გაისროლე, განა კუდიანები ძაღლა ცაში არიან მეთ-  
 ქი? მაძამ მიზასუხა: „არა, შვილო, აქ კუდიანებს რა  
 უნდათ, ეს თოფის სროლა სიმხიარულესა ჭნიძნავს  
 და რაკი ესლა ახალი წელი მოდის ჩვენ ბევრი ხი-  
 ლი მოვაძმადეთ და მხიარულათ გვინდა შევხვდეთ  
 ახალ წელს, ამისათვის თოფებს ვისვრით. მაძის ზა-  
 სუხი მენიძნა, მით უმეტეს, რო ჩვენ ხილიც ბევრი  
 გვქონდა, გოზინაუიც, და კიდევ გვიხაროდა. მაძამ  
 ერთი ორჯელ კიდევ გაისროლა თოფი და შეძევ  
 შეებრუნდით შინ. დედა-ჩემს კიდევ მოემზადებინა საკ-  
 ვლეველი ტაბაკზე. ნამცხვარისათვის მიეძატებინა კი-  
 დევ ერთი კარგი დედალი, ერთი ხელადა ღვინო,  
 ერთი თუფი გოზინაუი და სხვა და სხვა თესლეუ-  
 ლები ჰურის ძარცვლიდან დაწებული, რაც-კი თესლი  
 ეთქმის და ადამიანი საჭმელათა სძარობს.

„აბა, შეკვლე, შეჭნიძნა დედამ მაძას, არ დაგვიძი-  
 ნოს, სო იცი ვერავინ გაგაღვიძებს, შეკვლე უძძრახი  
 უნდა ადგეს“.

„შენ ე მანდ საკვლეველზე არა დაგაუიწედეს-რა,  
 კვლევისა მე ვიცი“, უზასუხა მაძამ.

წელდისთვის კუნძი გამხიარულდა, თუძცა მაძა-  
 ჩეძი უგანძმით ემზადებოდა დაძინებას, მაგრამ ბებიამ  
 არ უყო.

— არა, შვილო, დედა, კენაცვალოს, ჰირ კაუნ-  
 ძრეველი ნუ დასწვები, შეკვლეს წესის დარღვევა  
 რჯულის გადადგომაა. — ვიჯანძმეთ და უველანი დავ-

წესით დასაძინებლათ. მე ბებიასთან შერგო შილი. შევეხვეყნე ბებიას, რომ გავეღვიძებინე კვლევის დროს. ბებია დაძინდა. იქნებოდა ასე შემორეთ მძღლის ვივილის ხანი, ბებიაშ გამაღვიძა. გაკახილე თვალი— მთელი სასლი განათებული იყო. კუნძი გამლიერე ბელიყო. მამა-ჩემი ტანთსაცმელს იცვამდა. ჩაიცვა მამაშ, დაიბანა ხელ-პირი, მივიდა საკვლეველთან, ანთო სანთელი, სანთელი მიაკრა ტაბაკის პირზე, შეიდგა თავზე და ხელადით ხელში გავიდა გარეთ. მეც ჭბი-არათ გადავიცვი ხალათი და გავუევი მამას გარეთ. პირველათ მამამ შემოუარა გარს სასლ-კარს. შემდეგ მივიდა შარანთან შემდეგის სიტყვით სამჯერ: „შემოვდგი ფესი, გწუალობდეს ღმერთი, ფესი ჩემი, კვალი ანტელოზისა“. ამავე სიტყვებით მიულოცა ბელელს და საქონლის ბინას. მამამ გაათავა გარეთ მილოცვა. გამობრუნდა ბინისკენ იმავე შემოვდგი ფესის... მოთქმით. მიულოცა ამბარს, თაროს, კერას, დედაბოძს, შემდეგ საკვლეველი დადგა თავის ალაგას და გავიდა ისევ გარეთ. გარედან შემოიტანა ერთი ხელმოკლე ჯოხი, მივიდა კუნძთან, დაუწყო ჩინჩისილი და მოთქმა: ემთენი ცხვარი, ემთენი შროსა, ემთენი ცხენი, ემთენი ღორი, ემთენი ქათამი, ბატა, ინდოური, ისვი“ და სხვა.. გაბრიალებული კუნძი ისვრიდა აუარებელ ნაპერწკლებს და მე მისაროდა, რომ იმოტყლას ცხვარი და შროსა გვეულებოდა. შემდეგ მამა მივიდა საკვლეველთან და შენაურდა დედლით და ღვინით, დასჭრა გოზინაუი და მოკვილოცა ეველას ახალი წელიწადი გოზინაუის პირში ჩა-





დებით. „ესე ტებილათ დაბერდით და დაესწარით მრავალ ამ დროს“<sup>1</sup>. მილოცვაზე მამას შეჰნიშნა ბებიამ: „შვილო, დედა გენაცვალოს, ი რო უჩინჩხილუბდი რატო არა სთქვი ემთენი ბიჭებო, ემთენი გოგოებო, ეგრე კიდე შობის ღამეს ჩემმა რძალმა ცხრა წვენა არ გააკეთა რაღაც მოდნაში აღარ არიო, რათა, შვილო, ღმერთს რათ აწუენინებთ, ჩვეულობა რჯულთ უმტკიცესიაო“.

„რა ვიცი, დედი, ესენიც ვერ შამინახია და რო დემეხვივნენ ჩემ ნატერაზე იმოტელა წვრილ-ფესობას რა უეო“.

„ნუ... ნუ, შვილო, მაგას ნუ იტყვი და ნუ გაძაგონებ. ღმერთი კაცს როგორც გაჩენს, ისე დაარჩენსო. თვალთ მოდნის მამკონსაც დაუდგეს, იქნება ძალე ჩინჩხილიც გადაუარდეს, იტყვიან მოდნაო“.

ამ სიტყვებით ბებია გავიდა გარეთ და ცოტა ხნის შემდეგ შემობრუნდა „შემოვდგი ფეხის“ თქმით. თან მუშაობდა კარგათ მოხდილი საჩინჩხილეული და მიუახლოვდა კუნძს, რომელმაც ბებიას მიახლოვების დახანათ გაჰქარა თავის თავათ ნაპერწკალი. ბებიამ დაინახა და იზმუკუნა: „ვიღაცა მებძვის და არ ვიცი რა უნდა ჩემგან“, მივიდა კუნძთან, დაუწყო ჩინჩხილი: „ეემთენი ცხვარი, ეემთენი ძროხა და სხვა. ეემთენი ბიჭები, ეემთენი გოგოები და ეემთენი კიდე წლის სიცოცხლე ჩემ შვილებს და შვილის შვილებს, ეემთენი წელიწადი კიდე ჩემმა მტრებმა იცოცხლონ, რო ბუხები გახდნენ და კედელს მიეკრან, რო ბედნიერ დღესაც ჩემ სისხლსა ჰსმენ და სორცსა სჭამენ... უეე“



ლამ სათითაოთ შემოვიტანეთ ჯონი და ჩაუჩინჩინო-  
ლეთ... შემდეგ ბებია მივიდა თავის კიდობანთან. ბავ-  
შეებიც მივესვიენით. დაგვაბერა ბებიამ ბავშვები და  
დაგვარგა: თუ შესობლიანთას საქმე გქონდეთ რამე,  
ნუ დაუძახებთ, თორემ თქვენ დაუწუვდებით და იმათ  
კიდე კვერცხები გაულაუდებათ, კრუსი წიწილებს არ  
გამოუჩეკავთ, თუ დაძახება გინდათ, ქვა ესროლეთ  
კარებს და გამოგხედამენო. დედამ დაიწყო საახალ-  
წლო სუფრის მზადება. რა გინდა თვალო და გუ-  
ლო, რო ზედ არ იყო გაშლილი. შემდეგ მოკვართო  
ბავშვები და წაგვიყვანა ეკლესიაზე წირვის მოსასმე-  
ნათ. წირვის შემდეგ დედა რამდენიმე ქალით მოვიდა-  
ნენ შინ და მოგვილოცეს. ჩვენთან ახლა სხვაგან  
მესობლებში გადვიდენ და მიულოცეს უველამ ერთ-  
მანეთს მესობლებმა წელდის-თავი. საღამოზე ბევრი  
ჭურჭელი შეგვექნა დასარეცხი და დედამ გამგზავნა  
ნინოს დასაძახებლათ. გზაზე მომაგონდა, რომ და-  
ძახება არ შეიძლება, როგორც ბებიამ დაძარიგა, ქვა  
უნდა შესროლნა. ავიდეთ მეც ერთი ჰატარა ქვა და ვეს-  
როლე ნინოს კარებს, თურმე ნუ იტყვიან ამ დროს  
ნინო გამოდიოდა და გამოაღო თუ არა კარი, ქვა  
შიგ შუბლში მოჭსვდა. ნინომ ასტყენა ერთი აურ-  
ზაური. მე მოგვერცხლე ბებიასკენ. ცოტა ხნის შემ-  
დეგ ნინო შესვეული შუბლით ღობესთან რაღაცაზე  
ელაპარაკებოდა და ბებიასაკენ იეურებოდა. ბებია მიჭ-  
სვდა, რო ლაპარაკი ჩემზე და იმაზე იყო, რადგან  
ქვის გასროლით მესობლის გამოძახება ბებიას და-  
რიგება იყო და ქვა კიდე მე ვესროლე, მაგრამ აღარ

გაქმდნასათ არც დედა-ჩემს და ღარიკ ნინოს, ანა-  
 ასალ წლის დღეს ჩხუბი არ დაჭკვებებოდათ. თავის-  
 თვისი-კი ჩაიბუტბუტა: „ტუეილათ კი არ მქსროლა ი  
 კუნძმა ნაპურწკლები“. მღვდელმაც მოკვილოცა. აკურ-  
 თხა ჩყენი საკვლეველი, ასხურა ი-სმის-წულით. მთე-  
 ლი დღე მილოც-მოლოცვაში ვიუავით. ვასძმათ ძამ  
 დაკუპატიუა. ნინოც იქ იყო და შეკვარიგა მე და ის  
 ბიძახეძმა. საკვლეველი ერთ კვირამდის იდგა ხელ-  
 უხლებელი, შემდეგ დავსარჯეთ, კარდა ხარის-კვერის-  
 სა, რომელც მამა-ჩემმა წელდი-თავის მეორე დღესვე  
 ხილთან ერთათ მინდორში გამატანა, რომ იქაც  
 დვთის თვალს ეტრიალნა. ბინახე ცხენ-დაცხენ მი-  
 ვედი. ბიჭებს გაუსარდათ ჩემი მისვლა. იცოდენ,  
 რო მამა იმით სასალწლოთ არას დააკლებდა. გი-  
 გია მოხუცი მობინავე იყო. მაშინათვე ხარის-კვერას  
 ეცა. ამოიღო ხურჯინიდან და გასწია თაფლბ სა-  
 რისკენ, რომელსაც ჩვეულებისამებრ სამჯერ შეაკდო  
 კვერი ძაღლა. შემდეგ გიგიამ ვადიწერა პირ-ჯვარი  
 აკოცა კვერას, გატეხა რამდენსამე ნატეხათ და დაუ-  
 რიგა ამხანაგებს. სახამ გიგია კვერას უგდებდა თაფ-  
 ლას, ბიჭებმა კიდევ წამთავორეს ხურჯინიდან ტიკ-  
 ჭორა და ეანწით ხელში ელოდებოდენ გიგიას, რო-  
 გორც უფროსს. გიგიაც მოვიდა, მოინადა ქუდი, აიღო  
 ეანწი და დაილოცა:

„დმერთო დიდებულო, დიდათ სასხენებელო, შენა  
 სწეალობდე ამ საქონლის და ბინის პატრონს, გაუ-  
 მრავლე ცოლ-მვილი, საქონელი და დაასწარი მრ-  
 ვალ წელდი-თავს სიმსიარულით, ცოლით, შვილით

და მწუქსებ-მოჯამაგირებით. შემდეგ აიღო გოგონა და  
 გადაჭოცნა ამხანაგები და დაბერა. „ეგრე ტკბილათ  
 დაბერდითო“. ძალე ბიჭებსა შრავალ-ქაძიურც შემოს-  
 მსხეს, ძრიელ მიევარდა შინდორში წასვლა, მით  
 უმეტეს, რომ გიგამ ბეჭრი მოძასულები და ზღან-  
 რები იცოდნა და სძირათ შიამბობდა ხოლმე, მაგრამ  
 მამა-ჩემი არ მიშვებდა შინდორში, გულის-უური გუგუ-  
 ეოფათ. ბიჭებს ჯერ ღვინის სმა არ დაეთავებინათ,  
 რომ მე შინისკენ წამოვიდი, როგორც მამამ დაძი-  
 ბარა.

გ. დ. ჭრელაშვილი.







# უი რ ა ქ უ ი.

(შედეგი)

III



უსაღები ციხის ეზოში დასეირ-  
ნობდენ. სძაურობა, ბორკილე-  
ბის სსარაჩხური და ტუსაღე-  
ბის ზედამხედველთა ევირილი  
ერთმანეთში ირეოდა და სამ აღამიანს ჟრუანტელსა  
ჰკვირდა.

— მისო, დღეს გაგანთაჟისუყლებენ არა?

მიძართა ერთმა ასაღგაზრდამ ძეორეს.

— ძე და გეურქა დღეს წავალთ. უზასუსა მისომ  
და ხელი მოჭხვია გეურქას, რომელსაც ოდნავ გაუ-  
ღიძა.

გეურქა და მისო განთქმული ჯიბგირები იუვენ  
და ქურდობისათვის ისხდენ ციხეში.

— არა, ბიჭო და შესედულობა კარგი გაქვთ ჯა-  
ნი და ღონე ღძერტს მოუცია, განძრეით ხელი და  
იმრომეთ; როგორ არა გრცხვენიათ, რომ ქურდების  
სახელს ატარებთ? განა ჰატოხსანის შრომით თავს ვერ  
ირჩენთ? მიძართა ორივეს ჰირველმა, რომლისთვისაც  
აკრძალული წიგნები ენახათ გაჩხრეკის დროს და  
ამიტომ დაეჭირათ.

— ეჭ, სომ მოგესხენებათ ერთი ალილო ღვდელ-  
საც შეეძლებაო. დაიწეო გეურქამ. ჩვენც გაგვაბრეივეს,  
ასაღგაზრდები ვართ თორემ, რაკი ამ ოსერ ადგილს



მოცილებებით, როგორ გაგვიწერება ღმერთი, რომ კიდევ გაუბრევივდეთ.

— ეს ერთი მიმიქარავს და აწი თუ კიდევ ქურდობაში დამიჭირებს, ჩემი კუბო ნახე. წარმოსთქვა მისომ.

— ქურდობისთანა შეპარცხვენელი არაფერი არა არის რა ადამიანისათვის. ორი ხელი და ორი ფეხი ღმერთს მოუცია, ახალგაზრდები ხართ ჯან-ღონით სავსე, განძირეთ ხელი, იბროძეთ—ეს არა სჯობია:

ამასობაში მისოსა და გეურქას დაუძახეს, გამოსვლევინეს ტუსადის ტანისამოსი და განთავიოსუფლეს.

გამოსვლისა თანავე ისინი ისევ თავის ხელობას შეუდგნენ და ბარე ორსა და სამს გულ უბრევილოს ამოაცალეს ჯიბიდან ფული.

აღდგომა ახლოვდებოდა. სადგურზე დიდი მოძრობა იყო, რადგანაც შეჯგუფებულ და არეულ ხალხში უფრო ადვილია სხვის ჯიბეში ხელის ფათური, ამიტომ მისო და გეურქა სძარბათ დადიოდნენ სადგურზე და კარგი მეძებარივით ათვალიერებდნენ თავის მსხვერპლს. როდესაც სადგურზე მისომ და გეურქამ შირაქში მიძავალი ჩვენი მკვავრები შენიშნეს თვისის ბატკნებით და დარწმუნდნენ, რომ ისინი მარტო იყვნენ, მაშინვე დაუბადათ მათი გატაცების განძრახვა და კიდევ განახორციელეს ძაღუ.

#### IV

მზე ჩასული იყო, როდესაც ელენე სახლში დაბრუნდა.

ვასტანკს ნასადილევის ძილის შემდეგ ჰირი დაეხანა და სახეს იწმენდა სარკესთან. ელენეს არ იამა,



რომ ბავშვები მინ არ დახვდა, მაგრამ იფიქრა, ალბათ  
ესოში იქნებიან თავისი ბატონებიანაო.

— სწორეთ საქმე გააჭირვებს ამ ბატონებს! წარ-  
მოსთქვა მან, მოუჯდა მაგიდას და დაუწყო თავის  
ნაუაჭრს გადათვალთვლება.

— დაბრუნებულხარ, ელენე? რატომ არ გამა-  
ღვიძე, რომ აძღენს ხანს მძინებია? წარმოსთქვა ვახ-  
ტანგმა ცოლის დანახვაზე.

— საიდან გაგაღვიძებდი, ეს არის ახლა მოუვდი!

— ბავშვები რა იქნენ ნეტა? რაი დაუწვექი მაგა-  
თი ხმაურობა აღარ გამიგონია.

— სად იქნებიან? ესოში არიან უთუოთ თავის  
ბატონებიანა, სწორეთ საქმე გააჭირვებს

— საკვირველი გულის კი არის აზიკო, მესვე-  
წებოდა ბატონებს ნუ დაკლავთო.

— შეუვარდათ და რასაკვირველია ეცოდებათ.

— მართალი რომ სთქვას ადამიანმა დიდი სა-  
ცოდნობა კი არის. წარმოიდგინე რამდენი ნორჩი  
უძანკო ბატონი დაიკვლის ამ სახადგომოთ, მერე  
რისთვის? იმისთვის, რომ ჩუენი მუცელი ამოვამლოთ.

— მართალი გითხრა, მე არც ერთი ცხოველი  
ისე არ მომწონს, როგორც ბატონი. მეტათ მშვიდი,  
წყნარი, თვინიერი, კეთილი და უძანკო გამომეტყვე-  
ლება აქვს.

— დიდი საცოდნობაა, დიდი, მაგრამ რას იხამ,  
ახუცილებელი კია. რომ აღზრავინ აღარ დაკლას რამ-  
დენიმე ხანში ისე გამრავლდება ცხვარი, რომ დედა-  
მიწა ვეღარ დაიტევს.

— ჩუენი ორი ბატონი თუ არ დაუკალით ქვე-  
ყანა დაილუპება, არა?

-- ქვეყანა კი არ დაიღუპება, მაგრამ სად მდებარეობს ნახოთ, ან რათ გვინდა

— მართალი ხარ, მაგრამ თუ კიდევ მოგვივიდა ბატკანი მაშინათვე უნდა დაგვკლათ, თორემ ბავშვები ეჩვევიან და მერე რასაკვირველია ენანებათ.

რამდენიმე ხანს სიჩუმი ჩამოვარდა.

— რა ვქნა, სად არიან ბავშვები, წარმოსთქვა ელენემ და ბალკონზე გავიდა.

— ქეთო, აჩიკო, მოიხმა ელენეს მახილი, მაგრამ ბავშვები არსად იუვენ.

ელენე შეკრთა, ჩავიდა ეზოში, სადაც ჰატარა ბაღი იყო, დაბთვბლიერა უოველი კუთხე, შეეკითხა მესობღებს, მაგრამ ბავშვები ვერსად ნახა.

— ვასტანგ, ვასტანგ, ბავშვები არსად არიან! გაფითრებულის სახით მიძართა ელენემ ვასტანგს და ჩაიკეცა.

— ეჭვ, ეგრე იცი ხოლმე შეძინება, სად წავიდოდენ, წარმოსთქვა ვასტანგმა და ბალკონზე გავიდა. ელენემ მთელი ოთახები დაიარა, არც ერთი კუთხე დაუთვბლიერებელი არ დარჩა, მაგრამ ამათ; შეძდეგ სამზარეულოში გაუარდა გადარეულივით.

ჰეტრე, ასალი მოსული იყო და ჩოსხას ისდიდა.

— ჰეტრე ბავშვები არ დაგინახავს?

— სახლი რომ ავაღებე და ჭურჭელი დავასუფთავე აქ გახლდენ, ქალბატონო, ბალკონზე ეთამაშებოდენ ბატკნებს და მერე მე ბაზარში გიბასელით.

— აბა რა იქნენ, სად წავიდენ? ვასტანგ, ვასტანგ, რაღა ვქნათ, რაღა ვქნათ! ელენეს ტირილი აუვარდა.





— რა ვქნა, სად უნდა წასულიყვენ? იქნება ალექსანდრე იყო აქ, შენი ძმა და იმან წაიყვანა, წარმო-  
სთქვა ვანტანგმა.

— ჩვენს დაუკითხავთ როგორ წაიყვანდა.

— რატომ, შენ სასლში არ იუავი, მე აღარ გა-  
მაღვიბა და წაიყვანა.

— ახირებელია ჩემი ძმაც, თუ ძაბთლა წაიყვან-  
ა ასე ჩუმათ, როგორ მიქნა ამისთანა საქმე. წარ-  
მოსთქვა ელენემ და ცოტა დამშვიდდა, რადგანაც თი-  
თონაც იფიქრა, ალბათ ალექსანდრემ წაიყვანაო.

ელენეს ძმა ალექსანდრე შუახნის კაცი იყო;  
ერთხელვე უცოლშვილოთ დარჩენილიყო და თავისი  
დისწულები ძალიან უეკარდა. ახლოსაც იდგა და  
ქეთოს და აჩიკოს სძირათ ესტუმრებოდა ხოლმე.

— ზეტრე, აბა ერთი გაიქეცი ალექსანდრესთან,  
ალბათ იქ არიან ბავშვები. მიძართა ელენემ ზეტრეს.

ზეტრემ ჩქარის ნაბიჯით გასწია.

— უთუოთ ალექსანდრემ წაიყვანა, მაგრამ ბა-  
ტკნები რაღათ უნდოდათ, დაიწყო ისევ ელენემ ცო-  
ტა სიჩუმის შემდეგ.

— ბავშვები არ დატოვებდენ და იმანაც ალბათ  
სათრი აღარ გაუტყნა.

— ახირებული კაცია სწორეთ ჩემი ძმა, ქალა-  
ღდის ნაკლეჯი მაინც დაეტოვებია: ბავშვები მე წა-  
ვიყვანე და ნუ შეგეშინდებათო.

— უთუოთ ცოტა ხნით წაიყვანა და იქ კვი  
შეაგვიანდათ.





— რაიო, ჰეტრე? წამოიძახა ელენემ, როდესაც დაბრუნებული ჰეტრე დანახა.

— არ გახლავან, ქაღბატონო!

— ალექსანდრე ნახე?

— ალექსანდრე სახლში გახლავთ, ახლავე ციხე-სიმახით ისიც. მე არ ვეოფილვარ და არც წამომოვივანია ბავშვებო.

ელენემ თავში სელები წაიშინა და ქვითინი დაიწყო.

ვანტანგსაც ცრემლები აწვებოდა, მაგრამ თავს იკავებდა.

ზარის სმა გაისმა, ალექსანდრე შემოვიდა.

— ნახეთ ბავშვები, იკითხა მან შემოსვლისთანავე.

— ვერ ვნახეთ, აკანკალებულის სმით წარმოსთქვა ვანტანგმა:

— მაშ რა იქნენ, სად წავიდნენ?

— თითონ რომ სადმე წასულიყვნენ, შეუძლებელია, ჩემდა დაუკითხავათ ფეხს არსად გადაადგამდნენ. ესოში რომ ჩასვლა ნდომოდათ მე დამეკითხოებოდნენ ტირილით წარმოსთქვა ელენემ.

— ტირილით არა გაკეთდება რა, უნდა რამე მოვაგვაროთ! დაიწყო ალექსანდრემ.

— გინს ვერ მოვსულვარ, საშინელი ფიქრები მივლის თავში, იქნებ ვინმემ გაიტაცა, წარმოსთქვა ვანტანგმა.

— ვის რათ უნდოდა შენი ბავშვების გატაცება, განა არ იცინა რა შეძლების პატრონიც შენა სარ?



სომ არ გაგიღახავთ, ან არ გაწუროძინხართ, ალექსანდრემ.

— შენ კარგათ იცი, ალექსანდრე, ჩვენნი ხასიათი, რომ ბავშვებს არასოდეს არა ვღახავთ, წარმოსთქვა ელენემ.

— ერთათ ერთი რაც იყო, აჩიკომ მთხოვა ბატკნებს ნუ დაკლავთო და მე უარი უთხარი. რაღაც ემძაკათ ორი ბატკანი გამომიგზავნეს და ბავშვები შედ იუვენ გადაუოლილი.

— ძეც მესვეწებოდენ, ბატონო, ნუ დაკლავო, წარმოსთქვა ჰეტრემ.

— ნუ დაკლავო, მერე შენ რა უთხარი? დაეკითხა ალექსანდრე.

— თუ ბატონი ბრძანებს არ დავეკლავ შეთქი.

— შენ კი უარი უთხარი, არა? მიძართა ალექსანდრემ ვახტანგს!

— უარი უთხარი აბა სად შემენახა ბატკნები, სოფელი სომ არ არის!

— ჰო და ცხადია, ბავშვები სადღაც გაიპარენ და ბატკნები გადამაღეს. კიდევ რომ ვინმე მოსულიყო თქვენი ბავშვების მოსატყვევლათ ბატკნებსაც სომ არ მოიტყვებდა. რაზე იხოცავთ თავს, მოვიკითხოთ ნაცნობებში და ნათესავებში, გამოჩნდებიან სადმე, აბა მიწა სომ არ ჩაჭულავავდა.

ბავშვების გაპარვის ამბავი ჰეტრესაც ჭკუაში დაუჯდა.

— სწორეთ რომ გაპარული არიან, ქალბატონო, და ნუ შეგეშინდებათ, მიძართა ჰეტრემ დამშვიდებული კილოთი.

— შენ რა იცი? დაეკითხა ელენე.

— დღეს ნასადილეგს, ქალბატონო ანიკო შეკითხებოდა ბატკნები საიდან მოჰყავთო და შირაქიდანა მეთქი. შირაქი სადით არიო და მეც უთხარი მარშინით უნდა წახვიდე ბაქოსკენ და შირაქში ჩახვალ მეთქი. ძალიან ჭკუიანი ბაჰშვიან, ქალბატონო, და ალბათ გაზარდა უნდოდა, რომ შეკითხებოდა, თორემ რაში გახსენდა ბატკნები საიდანაც მოჰყავთ.

— მე სადგურზე გავსწევ ახლავე და შენ კი ელველ შემთხვევაში ახლობელ ნაცნობებში მოიკითხე. მიძარტა ალექსანდრემ ჯახტანკს და გასწია. ჯახტანკმა და ელენემ განინაწილეს ნაცნობები და ნათესავები, რომელთა ბინაც ანიკომა და ქეთომ იცოდნა და გაუდგენ გზას.

## V

— გაახერე! დაუძახა გეურქამ მეტლეს ერთ ვიწრო მისახვევთან, სწრაფათ გადმოხტა და გადმოივანა ანიკო და ქეთო თავისი ბატკნებიანა, მეტლეს ფული მისცა და გაუდგენ გზას. ჩვენს ბავშვებს ეს უბანი ქალაქისა არასოდეს არ ენახათ. სულ ვიწრო, ჰატარა და მიხვეულ-მოხვეული ქუჩები იყო. ხან მარცხნით უხვევდენ გეურქა და მისო, ხან მარჯვნივ და ბოლოს ერთ ჰატარა სახლთან შეჩერდენ, აქეთ იქით მიიხედეს, შექდეგ სწრაფათ შეადეს კარები და ჰატარა ოთახში შევიდენ.

— აქ სად მოვედით? იკითხა ანიკომ.

— ჯერ აქ უნდა დავისვენოთ და ხვალ დილით შირაქში წავალთ.

— უჭ, განა ამ სიშორესე არის შირაქი?  
 — შორს არის, მაშ ახლოს გეგონათ? უპასუხა  
 გეურქამ.

— სვალ ამ დროს ძლივს ჩავალთ, დიდილით  
 წარმოსთქვა მისომ, ეძმაკურათ გადასედა გეურქას და  
 ორივემ სიცილი დაიწვეს.

— შენ აკი ასე მითხარი, ახლოს არის და  
 ეტლით მივალთო. შეუბრუნა აჩიკომ სიტყვა.

— მეც ახლოს მეგონა, მაგრამ ახლა დაშორე-  
 ბულა, იოსუნჯა მისომ.

— ასე არ დაგვპირდით, ამ საღამოსვე სახლში  
 მიგიყვანთო! უსაყვედურა ქეთომ.

— კარგია ერთი და! რა დროს სახლია, როცა  
 ჩემი ნება იქნება, მაშინ მიგიყვანთ.

— როგორ თუ შენი ნება! ჩვენ თუ დღესვე  
 სახლში არ მივყვდით, არ შეიძლება: დედა და მამა  
 შეწუსდებიან, წარმოსთქვა აჩიკომ.

— არა გრცხვენიათ, რომ მოგვატყუეთ, თქვენ  
 რომ გეთქვათ, რომ შირაქი ამ სიშორეს იყო, ჩვენც  
 სახლში დაგებრუნდებოდით, დაატანა ქეთომ.

გეურქა და მისო მათ ურს აღარ უგდებდენ და  
 ერთმანეთს დაბაღის სმით ელაპარაკებოდენ.

— იცი, ქეთო, შირაქში ჩვენ ნულარ წავალთ,  
 მიუბრუნდა აჩიკო დას: შორს ეოფილა, დედა და მამა  
 იჯავრებენ.

— ეჭ, აჩიკო, შენი ბრალი იყო, არ უნდაგ ვუ-  
 ქნა ასე.

— მე რა ვიცოდდი, თუ შირაქი ამ სიშორეს იყო.



მე შეგონა აქამდის კიდევ მივიღოდით და კიდევ და-  
ვბრუნდებოდით.

— მაშ ახლა რაღა ვქნათ?

— რა ვქნათ და ჩვენ სახლში წავიდეთ, ბატენუ-  
ბი კიდევ ამათ წაიუვანონ შირაქში.

— მე აქედან ჩვენ სახლს ვერ მივაგნებ.

— რა მიგნება უნდა, ჩვენი ქუჩა ვიცით და სა-  
ხლის ნომერი, მორჩა და გათავდა.

— მერე აქედან რითი მივიღეთ ჩვენ ქუჩაზე, მე  
არ ვიცი, გზა დაგვებნევა.

— გზა რათ დაგვებნევა, წამოიძახა აჩიკომ:  
ეტლში ჩავჯდეთ და ის თითონ მიგვიყვანს.

— მართლა, აჩიკო, რა კარგი პოიგონე, ჩვენ  
წავიდეთ და ბატენები ამათ წაიუვანონ, თორემ დედა  
და მამა ძალიან იჯავრებენ და ძალიანაც ეწუინებთ.

— ჩვენ აღარ გვინდა შირაქში წასვლა, მიმართა  
აჩიკომ მისოს, ჩვენ სახლში უნდა წავიდეთ თორემ  
დედა და მამა შეწუხდებიან ამაღამ რომ არ დავბრუ-  
ნდეთ. ბატენები თქვენ წაიუვანეთ შირაქში. მისომ და  
კეურქამ ერთმანეთს გადახედეს და გაიცინეს.

— მამა შენი სადა დგას? დაეკითხა აჩიკოს მისო.

— ჩვენ ვერაზე ვდგევართ, ვარდისუბნის ქუჩაზე,  
ათი ნომერია, ახალი სახლია, სხარტულათ მიუგო  
აჩიკომ.

— ნახელი, ნახელი! დაიძახა მისომ.

— ჭამე, გაისმა ცოტა ხნის შემდეგ მეორე ოთა-  
ხიდან სმა.

— აი, წახრემა და დარდუბალა! გამოადგი რა-  
ღა ფეხი!

(შემდეგი იქნება)

ი. გომართელი.



**გამოცანა.**

(წარმოლგენილი ან. კაპანაძისაგან)

წყალში ჩავარდება, არ დაიხრჩობა,

ცეცხლში ჩავარდება, არ დაიწვება.

**გასართობი უჯრები.**



ამ უჯრებში ისეთი რიცხვები ჩასხით, რომ რა მხრიდანაც უნდა წაიკითხოთ, 120 უნდა გამოვიდეს.

**რებფსი.**

(ჯაჯვის ლექსიდან).



ს  
ს



$\frac{1}{17}$ წლისა.
--------------------------



ს  
ს  
ს  
ს



რ  
კ



,  
თ



,  
შ  
ლ.

ლიბონობოგ იფუცაფ იოგცხ

იოუტუნ იმღბოი დოფი

— იუჯა. — იოტუნე უცხ

იოუბა ინკოუ იძინ იფ

იოტუნ 8

ა კ ა კ ი.



დეთო, უწყალო იღბალმა  
 დასძლია დაუძღვეელი:  
 ზეცას მოსწყვიტა მნათობი,  
 სხივთა უხვევით მფრქვეველი.

არე დაბნელდა, დაშავდა,  
 ისმის ქვითინი ერისა.  
 რა მეხი გასქდა შის თავსა,  
 ველარ მიმხვდარა ჯერ ისა;

მხოლოდ გრძნობს, გაძლიერ-  
 დება

ეს დაწყველილი წყვდიადი,  
 რომელმაც ხარკათ, ეს არის,  
 მოგვეტაცა მსხვერპლი დიადი.

აზრთა გაყინდა ნაკადი,  
 დადგა დუღილი გრძნობისა  
 საერო ჯვარის მტვირთველის,  
 მოძღვრის ერთობა-ძმობისა.

მგოსანო, გულთა-მხილავო,  
 მეფეო, ერის სულისა,  
 უკვდავო, მახარობელო  
 მომავლის სასწაულისა!





ძეგლი დაგედგა გრძნობათა,  
 ვით იალბუზი, მალალი;  
 ზედ აწერია: „აკაკი—  
 და მისი აღთქმა ახალი“.

გ. ბოკერია.







# აკაკი წიწმითელი

და

## მისი კოეზია



რა მგონია ჩვენს ქვეყანაში ბევრი მოძებნებოდეს ისეთი ქართველი, რომელსაც აკაკის სახელი არ გაეგონოს. დიდი ხანია რაც აკაკი ყველასთვის საყვარელ, სათაყვანებელ ადამიანათ გარდაიქცა და ეს არის მიზეზი იმისა, რომ

ხალხი აკაკის სხვა მწერლებზე უფრო დაახლოვებით იცნობს, სწავლობს მის ლექსებს ზეპირათ, მღერის მუშაობის თუ დასვენების დროს. ქართველი ხალხი აკაკის ლექსებში ჰპოვებს გამოუთქმელ სიტკბობას და კიდევაც პატივსა სცემს, ეალერსება მის სათაყვანებელს სახელს. 1908 წელს ქართველმა ერმა აკაკის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეი გადაიხადა. ამ დღესასწაულმა ფეხზე დააყენა მთელი საქართველო და აკაკის სახელი თვით მიყრუებულ განაპირა სოფლებშიაც კი მოეფინა.

დასაელეთ საქართველოში უბრალო, მდაბიო ხალხი აკაკის იცნობს და სწამს, რომ აკაკი ყველაზე უფრო ნიჭიერი ადამიანია ქართველებში; სწამს, რომ თუ კი რამე კარგი თქმულა საქართველოში, ის აკაკის ნათქვამია; რაც წიგნები დაბეჭდილა ქართულ ენაზე, ყველა აკაკის დაწერილია. „აკაკი“ სახელი მოსწონთ და ამისთვის ცდილობენ, თავიანთ შვილებს სახელათ „აკაკი“ დაარქვან.

აკაკის გარდაცვალებამ 26 იანვარს, ხელ მეორეთ აამოძრავა ქართველი ერი, შეაერთა ერთის აზრით, ერთის მისწრაფებით. ყოველი კუთხით შემოკრბა ძვირფასი ცხედრის გარშემო, არამც თუ მარტო ქართველები, არამედ კავკასიის სხვა ერებიც. ამის შემდეგ აკაკის სახელი კიდევ უფრო ძვირფასი



გახდება ყველასათვის, მაგრამ მარტო სახელის ცოდნის არ არის. საქიროა ნათლად წარმოდგენა აკაკის მნიშვნელობისა, მისი მოღვაწეობისა; საქიროა ვიცოდეთ, ვის უმღეროდა პოეტის ქნარი, ვინ შეადგენდა მისი ჩანგის ქლერის საგანს. ამაზე ქვევით, ჯერ კი თვალი გარდავაელოთ მოკლეთ აკაკის ცხოვრებას.

\* \* \*

აკაკი წერეთელი დაიბადა დაბა საჩხერეს ახლო მდებარე ს. ხხეიტორში, „გიჟმაყი ხევის წყლის ჩიხურას პირად, ქვიტკირის ორ სართულიან სახლში 1839 წ. 9 ივნისს, განთიადისას“. დაბა საჩხერე და მის ახლო მდებარე სოფლები ერთ საუკეთესო ულამაზეს მხარეს წარმოადგენენ ზემო იმერეთში. სადგურ შორაპნიდან სულ სამი საათის სასიარულოა მატარებლით; მიხვალთ საჩხერეში და თქვენ წინ ვრცელი, ლამაზი, თვალ-წარმტაცი ბუნება იშლება: 7 — 8 ვერსტის მანძილზე გაქიმულია ტრილა, ხელის გულივით გაშლილი მინდორი, რომელსაც ხოდებუნები ანუ ქალები ეწოდება. აღმოსავლეთით მოსჩანან დაბურვილი, მაღალი ტყეები და ეგრეთ წოდებული „ქალის მთა“, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთს ტოტს კავკასიის ქედისას. ამ მთისა და ტყეების კალთებზე გაშენებულია რამდენიმე კარგი სოფელი. თვით საჩხერე მდებარეობს მდ. ყვირილას ნაპირზედ. მას თავს დასცქერის დარაჯივით შესანიშნავი ძველებური ციხე „მოდი ნახე“. საჩხერიდან ერთი საათის სასიარულო იქნება ს. სავანემდის, სადაც აღიზარდა აკაკი. ეს სოფელი ძალიან ლამაზია თავისი მდებარეობით, მშვენიერი ჰაერით და მიწის ნაყოფიერებით.

როცა საჩხერეში მიდის უცხო ადამიანი, შეჰყურებს რა მუდამ მქმუნვარე წარბ-შეკრულ „მოდი ნახე“, ვასცქერის ზევით ნისლით დაბურვილ მთა-ტყეებს და ძირს კი გადაშლილ მინდვრებს, ყურს უგდებს მდინარის დუღუნს, და გრძნობს რაღაც მომჯადოებელ, მომზიბლველ ძალას; ეს მშვენიერი სანახარბა იტაცებს კაცის თვალს და ძალა-უნებურათ ათქმევინებს: რა ვასაოკარი ბუნება ყოფილა, რა თვალ-წარმტაცი... და მხოლოდ ამ გვარ ბუნებას შეეძლო წარმოშობა ისეთი ადამიანისა, როგორც იყო აკაკი. როგორც ზემოთ ვსთქვით, ამ 75 წლის წინად ს. ხხე-

ტორში თავ. როსტომ წერეთელს დაებადა ვაჟი. მაშინდელი ჩვეულება იყო: თავადები პატარა ბავშვებს გლეხის ქალებს აზრდევინებდნენ. პატარა აკაკიც ს. სავანეში, ერთი გლეხის ოჯახში მიაბარეს. ი წლამდის აკაკი ამ ოჯახში დარჩა, თავის ბავშობა გლეხის ბიჭებში გაატარა. გლეხის ოჯახში აღზრდამ დიდი გავლენა იქონია მომავალ მგოსანზე. პატარაობაშივე გავიწნო აკაკი ჩვენებური გლეხის ცხოვრებას, შეიტკბო, შეისწავლა ხალხური ენა, შეიგნო, თავის თვლით ნახა გლეხის გასაჭირი. ბუნების კალთაზე აღზრდამაც კეთილათ იმოქმედა აკაკიზე: პატარა მღ. იზორაში თევზაობამ, გლეხის ბიჭებთან სამწყესურში ბურთაობამ, წაუშლელი კვალი დასტოვეს აკაკის ნაზ ბუნებაში. ექვსი წლის რომ შესრულდა, თავის საყვარელ ძიძას უნდა მოშორებოდა და მამის სასახლეში სულ სხვა გვარ ცხოვრებას შესდგომოდა. მალე მოიწყინა პატარა ბავშვმა სასახლეში, სადაც აღარა ჰყავდა თავისი ტოლი ბიჭები, მაგრამ დედამ აქაც მიუჩინა კაკოს, პატარა გლეხის ბავშვები, რომლებმაც იგი ისევ გაახალისეს. ბავშვის სწავლის დროც მოახლოვდა. თავისი დის მაცადინობით, აკაკიმ მალე შეისწავლა წერა-კითხვა, როგორც მხედრული, ისე ხუცური. მალე დედა მისმა (რომელიც ასული იყო ივანე აბაშიძის და იმერეთის მეფის სოლომონ 1-ლის ქალის დარეჯანის შვილის-შვილი) რუსული წერა-კითხვაც დააწყებინა. 7—8 წლის ბავშვი «ვეფხისტყაოსნის» კითხვასაც კი უგდებდა ხოლმე ყურს; ასე რომ ქართულ წერა-კითხვაში კარგათ იყო გაწაფული, როცა ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს. აქედან სულ სხვა, ახალი ხანა იწყება აკაკის ცხოვრებაში. აკაკი შემდეგში იგონებს ამ დროს და თავის «თავ-გადასავალში» გვეუბნება: «აქ თავდება ჩემი ბავშობის პირველი ხანა, ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუვიწყარი, აქედანვე იწყება მეორე: მტანჯავი, დამჩაგვრელი და გამაუკუღმართებელი». მაშინდელ გიმნაზიებში ძალიან სასტიკი სასკოლო რეჟიმი მეფობდა: მაშინ ხმარებაში იყო წკებლა („როზგი“) და ვაი იმას, ვინც რაიმე, თუნდ სულ უბრალო დანაშაულს ჩაიდენდა... პატარა ბავშვებს ქართულათ ხმის ამოღებას სასტიკათ უღკრძალავდნენ და რუსულს, მათთვის გაუგებარ ენას, თუთიყუშივით აზეპირებინებდნენ. ბედმა არგუნა აკაკის სულის შემხუთველ პირობებში გაეტარებინა რვა წელი-





წადი, ბევრჯელ განიზრახა დაენებებინა თავი გიმნაზიისთვის. მაგრამ ნიქმა მიიწვი თავისი გაიტანა: ამ გულის შემზარავ გარემოებაშიაც აკაკი პირველობას იჩენდა და შესანიშნავათ სწავლობდა, ნამეტურ უცხო ენებს.

აკაკის, გიმნაზია არ გაუთავებია; ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა 16 წლის აკაკი პეტროგრადს გაემგზავრა. პეტროგრადში ქაბუკი აკაკი, ცოტა უკლდა, სამხედრო პირების უღარდელმა ცხოვრებამ არ გაიტაცა; უნდოდა სამხედრო სისწავლებელში შესვლა, მაგრამ ამ მისი ნიქის დამღუპველ აზრს მალე თავი გაანება ამხანაგებთა რჩევით. შევიდა უნივერსიტეტში, აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე და ამავე დროს გამოჩენილ პროფესორების ლექციებსაც ისმენდა. ზევით უნდა გვეთქვა, რომ თუმცა გიმნაზიებში ქართულ ენას ყურადღებას არ აქცევდენ, აკაკიმ უფრო შეიყვარა აბუჩათ აგდებული საყვარელი ქართული ენა, მით უფრო მეტის ხალისით დაეწაფა მაშინდელ მწერლობას. აკაკი სულ 13 წლის თუ იქნებოდა, როცა ლექსების წერა დაიწყო, მისმა პირველმა ლექსმა „კანდელმა“ ჩვენამდის ვერ მოაღწია. პეტროგრადში ყოფნის დროს აკაკი სამშობლოს არ ივიწყებდა, რადგან ცეცხლი სამშობლოს სიყვარულისა მუდამ ენთო მადლიან გულში. 1876 წ. მოათავსა „ცისკარში“ „საიდუმლო ბარათო“ და ამ დროიდან სიკვდილამდის კალამი ხელიდან აღარ გაუგდია. აკაკის ლექსები მალე მოეფინა მთელს საქართველოს; ქალები მდეროდენ მის „საიდუმლო ბარათო“ და „სულიკოს“ დიდის აღტაცებით. ყველა გრძნობდა, რომ აკაკის უტყუარი, მაღალი პოეტური ნიქი ჰქონდა; მაგრამ ამავე დროს ბევრი უსაყვედურებდა: უბრალო ენითა სწერ, ძველებური, მძიმე ენა იხმარეო.

აკაკიმ პირველმა გააფაქიზა, გაასუბუქა ლიტერატურული ენა, და შეაყვარა ხალხს ჩვენი მწერლობა. აკაკი მთელი ქართველი ერის სათაყვანებელ პოეტათ გახადა, უბრალო ენით დაწერილმა ლექსებმა; თავისი მშვენიერი ენით მოიპოვა მან სახელი და დიდება.

\*  
\*  
\*

აკაკი უნივერსიტეტში ოთხ წელიწადს დარჩა, სადაც თავის სპეციალურ საგნებს გარდა, დაეწაფა მაშინდელ რუსულ ლიტერატურას; განსაკუთრებით შეიყვარა ჰუმანი და ლერმონტოვი, გაეცნო აგრეთვე მოწინავე მოღვაწეების ჰუმანიურ



აზრებს. მაშინ, როგორც ვიცით, რუსეთში (და ჩვენთან) ბატონ-ყმობა კიდევ არსებობდა. მთელს მოწინავე რუსეთს იერიში მიჰქონდა ამ ადამიანის პიროვნების შეურაცხმყოფელ მონობის წინააღმდეგ. აკაკი და სხვა ქართველი ახალგაზრდები, რომელნიც რუსეთში სწავლობდნენ, არ ჩამორჩენ რუსის საზოგადოების მუშაობას; ისინიც გაიმსჯვალენ საუკეთესო იდეალებით და განიძრახეს, სამშობლოს დაბრუნებისას, დაეწყათ მოღვაწეობა ხალხის გამოსაღვიძებლათ ბატონ-ყმობის უფლიდან გლეხების გასათავისუფლებლათ. მშვენივრათ გვისურათებს თვით აკაკი ერთ თავის ლექსში, რუსეთში მყოფ ქართველ ახალგაზრდათ ჯგუფის სამოქმედოთ მზადებას:

„ჩვენ ვიყავით უცხო მხარეს  
თავ მოყრილნი ერთად, სრულად;  
ვაშადებდით ქვეყნისათვის  
თავს მოწამე მოციქულად.

ჩამოვედით, ვიწყეთ ბრძოლა,  
მივიტანეთ იერიში;  
არ გექონია სხვისი რიდი,  
არ გვდებია გულში შიში“.

მართლაც რუსეთიდან დაბრუნებისას მე 60 წლებში, ამ ახალგაზრდათა ჯგუფმა იწყო მოქმედება, იწყო მიძინებული სამშობლოს გამოღვიძება. და აი ამ პატარა, მცირე რიცხოვან, მაგრამ ენერგიულ ჯგუფში ვხედავთ დიდებულ ილიას, რომელიც ერთის მწარე დაცინვით მიწასთან ასწორებდა „ლუარსაბისთანა“ მუქთათ მკამელ თავადიშვილებს; აქ ვხედავთ მშვიდ მგოსანს აკაკის, ჩაგრულთა მფარველს, მაგრამ მჩაგვრელთა შხამიანი ისრით შემმუსრავს, აქვე იყო გიორგი წერეთელი, დაულალავი დარაჯი მშრომელი ხალხისა, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ივ. მაჩაბელი და სხვა. აი, ეს მნათობნი, რომელთაც ბნელით მოცული ჩვენი ბედ-კრული სამშობლო მზის ცხოველ-მყოფელი სხივებით შემშოსეს, ჯანყით დაბურვილი ჩვენი ქვეყნის ცა ააელვარეს, მძინარე ხალხი გამოათხიზლეს, წარსული აღუდგინეს, მომავალი ერს მოაწყურეს...

\*  
\*  
\*

ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ ქართველი ერი მრავალი საუკუნის განმავლობაში ებრძოდა ყოველი მხრით მოზღვავე-



ბულ მტერს. ებრძოდა თავ-გამეტებით ეს ერთი მუქი ხალხი ასჯერ უფრო მეტ რიცხოვან მტერთა ურდოებს და სისხლით რწყავდა სამშობლოს მინდვრებს. ორი ათასი წლის მუდმივმა ბრძოლამ ვერ გასტეხა წელში ქართველი ერი და ინახავდა იგი თავის მამულს წინაპართა ძვლებით მოკენქილს, იცავდა სარწმუნოებას და იმ ენას, რომლითაც ჰქმნიდა უკვდავ ლექსებს ქართველთ გენიის გამომხატველი შოთა. ამ სამ ძვირფას განძს: ენას, მამულს და სარწმუნოებას უფროსილდებოდა თვალის ჩინივით ქართველი ხალხი; და კიდევ მიაღწია საქართველომ XIX საუკუნის კარამდე ისე, რომ არც ერთი ამათგანი არ დაუთმო მტერს...

მერე კი მუდმივი ბრძოლით დაღლილ-დაქანცული ერი შეუერთდა დიდ რუსეთს, მის კალთას შეაფარა თავი და მიიძინა მშვიდათ, რადგან ერის დასუსტებულ სხეულს მოსვენება ესაჭიროებოდა. მიიძინა, მაგრამ ამ ძილის დროს უმუშტოლა ბედმა და დაჰკარგა ის, რაც უძვირფასესი იყო მასთვის თავისუფლობა, დამოუკიდებლობა. დაინახა რა საფრთხე, სხეულით სუსტმა, მაგრამ სულით ძლიერმა ერმა, თვალები გაახილა და ერთხელ კიდევ შესძახა მტერს: „არა ვარ მონაო“, მაგრამ გვიან-ლა იყო. უშედეგოა ჩაიარა მრავალმა აღელვებამ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში.

თან და თან გადაეფარა მწუხრის ზეწარი ჩვენს სამშობლო ცას და ერი, მონაზას უჩვევი, თავისუფლების მოყვარე, დაემორჩილა შავ ბედს.

თავადი, პატრივ აყრილი და სიღარიბის გზაზე დამდგარი, აზნაური ულუკმა-პურო, გლეხი, ბატონ-ყმობის უღელ ქვეშ მგმინავი და საერთოთ კი მთელი ერი ერთ ტაფაში იწოდა. დაინახა ერმა, რომ სტუმარმა „სტუმრობა არ იკმარა“, მაგრამ თვის გულის წყრომას გულშივე იკლავდა:

„და მას შემდეგ ჩვენ სამშობლოს  
თვისი ფერი შეეცვალა,  
და ნაყოფის მოცემაში  
დაეკარგა ძველი ძალა“.

და მუხთალი ბედის წყალობით, ჩვენის ცხოვრების ხეულში „გორვალა და მავნე ღვარძლი“ ითესებოდა სასარგებლო პურის მაგივრათ:

„ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტ“ სამშობლო მხარეს, სხვა დაეპატრონა. ენა მდიდარი, ენა რუსთველის, თვით ქართველებმაც აითვალ-წუნეს; ბრწყინვალე ჩვენი წოდება „ჩინ ორდენებზე“ ჰყიდდა და სკვლიდა ყოველივე იმას, რისთვისაც მისი წინაპარნი გმირულათ სულსა ჰლევდენ ბრძოლის ველზე. გამეფდა ბნელი საქართველოში და ბევრს, უმეტეს ნაწილს სწამდა: საქართველოს დღეები დათვლილია, რომ მას სიკვდილი, დავიწყება, დედამიწის პირიდან აღგვა არ ასცდებოდა. არამც თუ გარეულები, შინაურებიც კი მოემზადენ, რათა უკანასკნელათ ეგალობნათ „სულთა თანა“ „გარდაცვალებულ საქართველოსთვის“. მაგრამ განგებამ ასე არ ისურვა... და აპა გაისმა ციური ხმა, ცით მოვლინებულ მგოსნისა:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს,  
და ისევე გაიღვიძებს,  
ვინც შენატრის იმის სიკვდილს  
უმალ მასვე დაამიწებსო“.

ამცნო პირველათ აკაკიმ მტერს თუ მოყვარეს, შინაურს თუ გარეულს. ქურუმმა მუხლი მოიდრიკა ქართველი ერის სამსხვერპლოს წინ და შეჰლაღადა:

„დედაო ღვთისაგ! შენი ხვედრია ეს საქართველო  
ღრდ ქირ ნახული,  
შეუნდე ცოდვა, ნუ აალებ ხელს, ლომობიერებით  
იბრუნე გული“.

ამავე დროს (მე-60 წლ.) მეორე დიდებული მგოსანი ილია, როგორც აკაკი, ევედრება ღვთის მშობელს, რათა „მოჰმადლოს ქართველს ნდობა და სიყვარული და აღუდგინოს მშვენიერი ესე მამული“.

„მშვენიერი მამულის“, „დაცემული ერის“ აღდგენას მოანდომეს თავისი სიცოცხლე ილიამ და აკაკიმ; ამ ორმა ადამიანმა დაუმტკიცა ყველას, რომ ქართველ ერს სიკვდილი არ უწყრია; რომ ის ერი, რომელმაც შოთა უკვდავ ლექსებათ აამეტყველა, თვით უკვდავია.

\* \* \*

აღსრულდა მრავალი თავდადებული მოღვაწის სურვილი: რუსეთში ბატონ-ყმობა გადავარდა (1861 წ.) ამ ბევრისათვის სანატრელმა წუთმა საქართველოშიც დაჰკრა და 1864 წელს გლეხობა მონობის უღლიდან განთავისუფლდა.





განთავისუფლებულ გლეხის სახლშიაც შეინათა მზემ თვისი სხივები; გლეხმაც იგრძნო, რომ იგი ადამიანია, მასაც აქვს უფლება თავისი შრომის ნაყოფით თვითვე დასტკბეს, იცხოვროს კაცურის ცხოვრებით და იგემოს თავისუფლება. ვინ იცის, რამდენს გაქირვებას იტანდა გლეხი ბატონ-ყმობის დროს. იგი მონა იყო, მონა ბატონის. ბატონს შეეძლო თავისი ყმა ძაღლზე გაეცვალა, ან გაეყიდა ოსმაღეთში, ან სპარსეთში, სწორეთ ისე, როგორც ღღეს პირუტყვს ჰყიდულობენ და ჰყიდიან. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ კი გლეხს მიენიჭა უფლება თავისუფლათ ცხოვრებისა. აი ამ დღიდან იწყება ხანა გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესობისა, ხანა განახლებისა.

განთავისუფლებულ ყმების ახალ-შობილ შვილებს პირველათ აკაკი მიეგება სიხარულით, მან პირველმა უგალობა „იფ-ნანა“ იმ ნაწილს ქართველი ერისას, რომელიც ჩვენი ცხოვრების ბურჯს შეადგენს, რომელსაც დიდებული მომავალი უქადა პოეტმა:

„გაიზრდები გენაცვალე, თავისუფალიო,

ბატონი ვერ შეგაშინებს, ვერც გაგტებს ვალიო“.

მგოსანი მოუწოდებს ახალ-თაობას:

„შენი დაჩაგრული ძმები, შენ უნდა იხსნაო,

იფ-ნანა, ვარდო-ნანა იფ-ნანინაო“

და ვის შეეძლო გლეხის სულის კვეთება გაეგო, ვის შეეძლო დაჩაგრული ხალხის მესაიდუმლე გამხდარიყო, თუ არ ისევე გლეხთა შორის აღზრდილს, გლეხის ქალის ძუძუთი გამოზრდილს აკაკის? ჩვენ ვხედავთ, თუ როგორის თანაგრძნობით ეპყრობა დაჩაგრულ გლეხობას მგოსანი; პოეტს სწადია:

„რომ დაჩაგრულს მის სიმღერით

თვალთ ცრემლები ეშრობოდეს

და მჩაგვრელს კი გულში ცემით

ისარივით ესობოდეს“.

ხედავს რა მშრომელ ხალხს აკაკი, თვის მადლიან ჩანგურზე, იმ ჩანგურზე, რომელიც მხოლოდ მისთვის უნდა „რომ სიმართლეს მსახურებდეს“, უგალობს:

„მუშებო, თქვენი მარჯვენა იკურთხოს ოფლით ნაბანი, მიწაა თქვენი ლოგინი და ლაქვარდი ცა საბანი“.

აკაკის უყვარს ის ყანაც, რომელიც გლეხის დიდებას



შეადგენს, გლეხის სარჩო-საბადებელს; მგოსანმა იცის, გლეხის ცხოვრება ყანის მოსავალზეა დამოკიდებული და იგიც უმღერის:

„ყანაო, ოქროს სამოთხევე, გლეხის დიდებავ, ყანაო,  
ცისკრის სხივებმა შეგმოსა და ნამმა გადაგბანაო,  
დაგქროლა დილის ნიავემა,  
აღერსით ვითხრა ნანაო,  
ჟუჟუნა წვიმამ ზე დაგკრა  
ზურმუხტათ აგამწვანაო“ და სხვ.

ამ გვარი ტკბილი ლექსებით მოულობო გული მგოსანმა დაჩაგრულ გლეხობას; შეუშრო მას ტანჯვის ცრემლები, როგორც ძმამ ძმას და ზეზე წამოაყენა; აკაკის ესმის გულის თქმა გლეხისა, განიცდის ტანჯვას იმასთან ერთათ, თანაუგრძნობს მას ჭირსა და ვარამში:

„ოხ, დარღების ამშლელო, ჩემი გულის ხაზი ხარ.  
თავდახრილი მისთვის ვარ, რომ კისერზე მაზიხარ“.

ეუბნება გლეხი თავის ბატონს, მაგრამ აკაკის სწამს, რომ გლეხობაც „ნახავს დილას სანატრელს“ და მაშინ გასწევს წინ, სინათლისაკენ, რათა სამუდამოთ დაამსხვიოს „ძალ-მომრეობის ძველი უღელი“.

\* \* \*

მაგრამ აკაკის ჩანგის საგანს მარტო ერთი გლეხობა როდი შეადგენს; იგი „ბუღბუღია, ვარდსა და ეკალზე თანაბრათ მომღერალი“, იგი მზეა, რომლის სხივები „ვარდთა და ნეხეთა“ თანაბრათ ეფინება, იგი მგოსანია ერისა და ეტრფიალებს „გაერთიანებულ საქართველოს“. აკაკი „ცრემლში ლესავს ნადველს“ და მიკლნათ ხმარობს, რათა გამოხატოს უანგარო, წრფელი სიყვარული სამშობლოსადმი.

ჩაუვარდა რა გულში თვისი „სატრფოს“ სიყვარული, მგოსანს მოსვენებაც აღარ ჰქონია მას შემდეგ; არ შორდებოდა, მუდამ თან სდევდა „მწუხარება და ჭირი“, რადგან „ფეხშიშველი, თავზე ლეჩაქ ახდილი,“ მისი ნესტანი, ქაჯეთის ციხეში ეგულებოდა. რაც კი რამ არსებობს ქვეყნათ: ნაზი ია, თუ ობლათ ამოსული ვარდი, საამოთ მსტვინავი ბუღბუღი, თუ „მოქათქათ-მოციმციმე“ ვარსკვლავი, —უა ფირუზ,—ხმელეთ—ზურმუხტი“ თუ უსაზღვრო ლურჯი ზღვა, ყველაფერი



პოეტს თვის სატრფოს შესამკობათ უნდა, იმ სატრფოს, რომელიც, ეგულეზა“ ცხრა კლიტულში მჯდომარე“ და რომელსაც „მეთვისებას უპირებს გაიძვერა მოყვარე“.

ქირისუფალივით თავს ადგა აკაკი მკვდარივით მძინარსატრფოს, სატრფო—სამშობლოს და ამხნევებდა:

„გაუმავრდი განსაცდელს,  
 აიტანე ტყვეობა,  
 გშევენის ნესტან-დარეჯანის  
 მაგალითი, მზეობაო“.

ბშირათ ეწვევა ხოლმე აკაკის სევდა-ნალღველი, რადგან მისმა სატრფომ ბევრჯერ „არ უსმინა მწუხარებით დადაგულს, და დაასო სამუდამოთ დანა გულს“. არა ერთხელ ევედრებოდა პოეტი სატრფოს:

„ქინქარში ნუ ვარდები,  
 ნუ გგონია იქ ია და ვარდები,  
 შეიბრაღე შენი თავი იცოდე,  
 მაგ შარბათში საწამლავს სვამ იცოდე“.

მთელ თავის სიცოცხლეში პოეტი „გულთთ ჯოჯოხეთს ატარებდა“ მისი „სიცილიც კი ცრემლზე მწარე იყო“, მაგრამ მკოსანს „ქირი ღხინათ მიაჩნდა“:

„მსურს მოვფინო, მშევენიერო,  
 შენი ქება ცის კიდეს,  
 ვფიცავ, ღხინათ მიმაჩნია  
 ქირი შენს გადამკიდეს“.

მართლაც აკაკი უიმედოთ როდი სტირის, ხალისიანათ მოყხმობს გმირებს ტყვე-სატრფოს გამოსახსნელათ.

ღიახ 57 წელიწადი აჟღერებდა პოეტი ჩანგს, რომლის ხმითაც სტკებოდა ქართველი ერი; მოხუციც კი ყმაწვილურის აღტაცებით უკრავდა თავის დაფსა და ნალარას, უყიოდა, უხმობდა ნესტარ-დარეჯანის „ტურფა გამომხსნელს“, „იმედი, ცის ნიჭი“ მის გულში მუდამ ყვოდა, და ერს გზას უნათებდა:

„არა აყვავდეს იმედი,  
 გულს ვერ გამიტებს ქალარა,  
 გმირებს მოელის თქვენგანვე  
 ჩემი დაფი და ნალარა“.

უებნებოდა ქართველ ხალხს.

ბევრი „ვის მნახველი“ და ბევრი „უის გამგონე“ სამარის კარამდის იმედს არ ჰკარგავდა: „რა უყოთ თეთრი მერიოს, ინით შევღებავ ჭალარას, საგმირო ხმაზე დაძახებ ამ ჩემს დაფსა და ნალარას“.

და განა ვის გულს არ მოხვდება ამ გვარი იმედიანი ჰანგი? ჰეშმარიტათ საღმერთებელია აკაკი, რომლის გული მთელს მის სიცოცხლეში, ანთებული წმინდა სანთელივით დნებოდა და ღვთიური ცეცხლით იწოდა ხატის წინ.

და ხატი ხომ მისი საყვარელი სამშობლო იყო;

„ჩემი ხატია სამშობლო,  
სახატე მთელი ქვეყანა,  
და რომ ვიწოდე, ვდნებოდე,  
არ შემიძლია მეც განა?  
სანთელი — ჩემი ხორცია,  
სიცოცხლე — მოკლე პატრუქი,  
ნათელი — ჭკუა-გონება  
იმათგან გამონაშუქი“.

„მყუდროთ დი უძრავათ დადნა აკაკი, ვით მსხვერპლი ღიადი და მადლით განასპეტაკა თვალ-უწვდომელი წყვდიადი“.

მგოსანი მართლაც „ჩაღნა თავისავე ჰანგებში“ და გაჰქრა, როგორც ლამპარი, მაგრამ აქვე დასტოვა ნაყოფი „ნათელი ჭკუა გონებისა“. აქ, ამ ქვეყნათ დარჩა განსპეტაკებული სიყვარული სამშობლო ქვეყნისა; აქვე დარჩა მგოსნის მიერ ნაანდერძევი იმედი, რომ კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭული, გულ-დაფლეთილი ამირანი თავს აიშვებს, გასწყვეტს იმ ჯაქვს, რომლითაც ხელ-ფეხი შეუკრა უსამართლობამ „ქვეყნათ ცეცხლის მოტანისათვის“; სიხარულათ შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი — გმირს ამირანს, რომლის სახით მგოსნის ოცნებამ თვით საქართველო წარმოგვიდგინა.

\* \* \*

მგოსანს ღრმათა სწამს ერის დიდებული მყობადი დაროცა კი მომავალზე ლაპარაკობს, ყოველთვის იმედის შუქი გულში უბრწყინავს, გვიმღერის ხალისიანათ: „არ მომკვდარა, გაიღვიძებს ისევ ერიო“.

მაგრამ აწმყო კი პოეტს სევდასა ჰგვრის, ცრემლები ერევა, ტანჯვას განიცდის. აწმყოში ველარ ხედავს აკაკი ნამდვილ ქართველ ქალს.



ვერც კაცებში ხედავდა აკაკი ძველებურს სიყვარულს სამშობლოსას, საზოგადო საქმისათვის თავდადებას; მაშინ როდესაც საჭირო იყო გატაცებული მუშაობა საერთო საქმისათვის, რომ დაცემულ ერს შესძლებოდა ფეხზე დადგომა.

აკაკი აწმყოში ვერ არის კმაყოფილი; დღევანდელი ერის დაძაბუნება სევდა-კაემანს უნერგავს გულში. ამ ნაირად, პოეტი ერთსა და იმავე დროს, ტანჯვასაც განიცდიდა და ლხენასაც. იტანჯებოდა, საქართველოს აწმყოს რომ წარმოიდგენდა; იშვებდა, სამშობლოს მომავალს რომ ითვალისწინებდა; მგოსნის გული იტევდა ერთათ ლხენასა და კვენესას, სიცილსა და გლოვას:

„ჩემი სამშობლოს სიცილი  
და მისი მწარე კვენესაო,  
ორივე ერთად სიმებმა  
შიგ გულში ჩაიკვესაო“, ამბობს აკაკი.

ეს არის მიზეზი იმისა, რომ პოეტი ჩანგურს ორ ხმოვანათ აუღერებს; ჩანგური მისთვის უნდა, რომ „მისი ხმების ჰარმონია ცხოვრებაში იყოს ბანი, ხან ლხენის, ხან მწუხარების“, „აღტაცებით სიმთა ჟღერა გამოსცემდეს მაგნიტის ხმას, და მაზედაც მისი მღერა ორ ხმოვანათ გამოისმას“.

\* \*

მშობელი ქვეყნის დღევანდელმა მდგომარეობამ აკაკი წარსულში გადაახედა. აწმყოთი გულ დაჩაგრული პოეტი წარსულში ეძებდა ქართველთა საგმირო საქმეებს; და აი ჩვენ ვხედავთ მთელ რიგს პოემებ-მოთხრობებისას, სადაც მგოსანი მთელი თავისის მხატვრული შემოქმედებით, თვალ წინ გვიშლის ჩვენს დიდებულ წარსულს. „თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატი დიდი“, „ნათელა“, „პატარა კახი“, „ბაში აჩუკი“ და მრავალი სხვა ნაწერები, სხვა და სხვა ფერადებით გვიხატავენ ქართველ გმირთა სიდიადე-სივალაყვას.

სამშობლოსათვის თავის-დადება, საერთო ინტერესების მაღლა დაყენება, ბრძოლა გმირული, სახელოვანი სიკვდილი... აი რა ამოქმედებდა მამულიშვილებს. და აკაკი, როცა იგონებს მათ საგმირო საქმეებს, აღტაცებული ამბობს:

„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა  
და ან ცაზე ვარსკვლავები,



ვინ შეამკოს ღირსეულად  
ქართველ გმირთა მხარ—მკლავები?

ვინ მოგვეთხრას მათი საქმე  
უთვალავი საგმირონი?... და სხვ.

აკაკი პატივს სცემდა ჩვენი ერის წარსულს, უყვარდა იგი, რადგან სწამდა, რომ ძველ ქართველს ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი უკვდავი შოთას სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. მოსწონდა აკაკის წარსული, რადგან შეუძლებელია უარჰყოფა ისეთი პირებისა, როგორც იყვნენ: ნინო, ქეთევან, თამარი, და სხვ., რომელთაც შეუქმნიათ ჩვენი ძველი დიდებული კულტურა. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, თითქო აკაკი მარტო წარსულისაკენ იხედებოდეს; არა, წარსულს ყურადღებას აქცევს იმდენათ, რამდენათ საჭიროა ეს მომავლის განსამტკიცებლათ... მომავალს მისჩერებია მგოსანი და მომავლისაკენ მოუწოდებს ყველას სამოქმედოთ—საბრძოლველათ.

\* \* \*

როგორც ძნელია „ზღვაში ქვიშის, ან ცაზე ვარსკვლავების დათვლა“. ისე ძნელია აკაკის ღირსეულათ შემოკობა, მისი შემოქმედებითი ნიჭის შეფასება; დიდია, მრავალ მხრივია აკაკის ღვაწლი, მისი მნიშვნელობა ქართველი ერისათვის. აკაკის პოეზია—საქართველოს განსახიერებაა: არ შეგიძლიათ აკაკიზე იფიქროთ და ამავე დროს საქართველოს სახეც თვალწინ არ დაგებატოსთ. აკაკიმ განიცადა ქართველი ერის წარსული, იგემა აწყო დროს სიღუბსირე და განსკვრიტა ნათელი ჭკუით, ერის მომავალი.

აკაკიმ შეიყვარა თავისი ერი მთელის არსებით, მაგრამ თვით ერმაც ხომ დააფასა მგოსნის სიყვარული; ქართველმა ხალხმა ტრფობას, ტრფობითვე უპასუხა; აკაკისადმი სიყვარულმა შეაერთა ქართველი ერი, შეაკავშირა, შეადულა ერთმანეთთან. არ არის ცალკე ქართლი, იმერეთი, გურია და სხვ., არის მხოლოდ გაერთიანებული საქართველო, ერთის აზრით გამსკვალული, ნესტან-დარეჯნის სახსნელათ განმზადებული.

სახელი და დიდება ქართველი ერის უგვირგვინო მეფეს, საქართველოს გამაერთიანებელს...



სახელი და დიდება თვით ქართველ ერსაც, რომელიც ზრდის შოთას და აკაკის მსგავს მამულიშვილებს.

კუბოდან რო წამოეხედნა აკაკის და თვალი გადაეწო უოველი კუთხით თავ-მოყრილი, ერთის გრძნობით გამსჭვალუ-ლი ერისათვის, უსათუოთ იტყოდა:

„მოვესწარ, რასაც ვნატრობდი

მე ამ ნახევარ საუკუნეში-“ო, რადგან ამ დღეს

„საქართველო აღსდგა მკვდრეთით“.

**დათიკო იაშვილი.**





# წიგლი ყრვის მტრედები.

(ზალშუერა ლეგენდა)

(დასასრული)



ამოვარდა მოსაწყენი სიჩუმე: მოლოდინ-  
მა შეიპყრო მათი სული, დაღარა მათი  
გული და დაუკარგა მნიშვნელობა იმ  
ამბავს, რაც ყველა მათგანს უნდა ეამ-  
ბნო.

დიდხანს გაგრძელდებოდა ეს სიჩუმე, რომ ერას მათგანს  
არ დაერღვია იგი: „მე შეიხვდა, სთქვა მან, ფიქრით მოცული,  
ცხოვრების ბაღში გაბმული კაცი... მას თავისი უღონო თა-  
ვი მოეხარა ძირს, თითქოს საფლავის ადგილს ეძებს განსასვენ-  
ებლათ. მე განგაშით დავაფრინდი მის ფეხებს და ვაიძულე  
ზეცასა და მზისაკენ მიეპყრო თვალები. ცეცხლისაებრ აენტ-  
ნენ მისი თვალები, ამაღლდა მისი სული და მისი დაფარული  
გული გაეშალა ქვეყანას.

და იგი დასრესილი და დატანჯული დაიღუპა...  
ყრუთ დაუმატა მოშორებით მჯდარმა უფროსმა მტრედმა...  
მას გული დიდათ გაჰბეროდა, ფრთები და ბუმბული ფართოთ  
გაეშალა და უფრო დიდათ გამოიციქირებოდა.

დიდი სიჩუმის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი მეორე მტრედმა:

— სკოლაში გალაზული ბავშვი უნდა გამერთო... მის  
ფანჯარასთან დავფრინავდი, დავსრიალებდი, ყირა-მალა გადავ-  
დიოდი ფრენის დროს, ვითამაშე ბევრი, ვინემ მის ვალურ-  
ჯებულ ტუჩებზე სხივის ნათელივით ღიმილი არ შეენიშნე...  
სიხარულისაგან ჩავილულდულდე... ახლა კი ბავშვმა ტირილი  
დაიწყო და სთქვა: „მტრედი, როგორც უნდა ისე ილუღუნებს  
და ჩხავილს ვერავინ დააწყებინებსო...“

და მაგ ნუგეშმა მოუტანა მას დარდი... — დაუმატა  
იმავე უფროსმა მტრედმა.



მის გვერდზედ მჯდომარე მტრედმა აღშფოთებით მიიხედა იმისკენ, შეიბერტყა ფრთები და დაიწყო:

— შემთხვევით ვაგიგე მე, რომ მძიმეთ შეურაცხყოფილმა კაცმა ბოროტი შურისძიება დაიწყო და გადარეული კაცივით განთიადიდან განთიადამდის იტანჯებოდა და ვაი-ვაგლახობდა. ბნელ ღამეში, როდესაც მზე ისევ წყლებში განისვენებდა, მე მას ფანჯარა მაგრათ დაუკაკუნე... გული დაელია შიშისაგან; მისმა ცრუ-მორწმუნე, შეშინებულმა გულმა თრთოლვად დაიწყო, ცრემლების ნაკადული დაეძრა თვალებიდან და სინდისმა დაუწყო ქეჯნა; შურის-ძიებას დაანება თავი და დიდნა მშვიდობიანათ...

— ძილით მართალი კაცისა... დაცინვით დაუმატა მყუდროების დამრღვეველმა მტრედმა, გაისწორა ფრთები, ჩამოუშო ქოჩორი და ჩაფრინდა დადარდიანებული მტრედების ჯგუფის შუა.

— მე არაფერი გამიკეთებია, მაგრამ ბევრი რამ კი შევიძინე, — დაიწყო სასტიკათ ამ მტრედმა. — მე ვნახულობდი ხოლმე ერთს ახალგაზრდა, ცეცხლის ქერუმივით ღამაზს და ლონიერს პატიმარს. როგორც ჩვენს მასწავლებელს ამასაც უნდოდა დაეხსნა ქვეყანა, მხოლოდ არა სიმშვიდითა, არამედ ბრძოლით... ჩემი ფრთების ელვარება ეფინებოდა მის საპყრობილეს... მას უყვარდა დიადი და ნამდვილი სიყვარულით თავისუფალი ქვეყანა და სწორეთ ამ ქვეყნიდან მისთვის მიმქონდა ჩემი ფრთებით გამაგრილებელი ქარი. მე შემიყვარა მან, როგორც ახალი და უცხო მოვლენა, როგორც ერთათ ერთი ცოცხალი არსება, მოვლენილი მკვდარი ყომრალი ქვათა და რკინის მოაჯირთა შორის, როგორც ერთათ ერთი ცოცხალი მოწამე ბორკილების ჩხარა-ჩხურისა. რომ არ დავიწყებოდა თვისი ხმა, მან დაიწყო ჩემთან ლაპარაკი: „მტრედო! მშვენიერია შენი სითეთრე და ტკბილია უმანკოება შენი, მაგრამ ათასჯერ უფრო ტკბილია ხმაურობანი ომისა და ცეცხლი ბრძოლის ველზედ. იცოდე: თუ გინდა ღვაწლით შეიმოსო, გულადათ უნდა დააშავო რამე და მამაცურათ შეასრულო შენი მოვალეობა... მტრედო! სიწყნარით ქვეყანას ვერ დაიპყრობ და ბედნიერებას ვერ მიანიჭებ მას. შემომხედე, განა მე პატიმარი ვარ? მე ვარ ძარღვი, წყვილიაღში გამოზრდილი ძარღვი,



მე მეფე ვარ, ბორკილებით შებოკვილი მეფე... შენ არწივი არა ხარ?... ასე რომ ყოფილიყო, მაშინ მე შენთან შეეკრავდი ძმურ კავშირს. ჩემს ძალოვან ზახილს ფრთების ერთი გაქნევით სულ მალლა მთის წვეროზედ ავისროდი... გახსოვდეს ეს, მშვიდლო ფრთოსანო... და მეც დავიხსომე... მართლაცა და რატომ შემომქმედმა არწივებათ არ გაგვაჩინა, მაშინ ჩვენ მისი ჯვარიდან ამოვგლიჯავდით ლურსმანებს, გავგმირავდით დამნაშავეთა გულს და მოვედებოდით ქვეყანას, ვითარცა გადარეული ქარი. შენდობა კი არ უნდა, — უნდა აწამო სული. ჩვენი სიმშვიდისა გამო დედა-მიწა დღეს გაკაწრულიც არ არის, მაშინ კი ჩვენი ბრძკალებით სიღრმემდის ამოსთხრიდნენ მას.

ამ სიტყვებით აღელვებულმა მტრედებმა არა ჩვეულებრივი შეხედულება მიიღეს: განივრათ გაშალეს ფრთები, ჩაქოჩრეს ერთმანეთი, ვარდის ფერის ბრძკალებით შეეწებნენ კლდის ხავსსა და გაკმინდეს ხმა... ამ წუთს მკრთალ-ზოლიანი ბაკანი მთვარისა დნებოდა, გაიშალნენ ანკარა ტბებით მოციმციმე ვარსკვლავები, დაქროლა ძლიერმა ქარმა და ნათელის აღელვებულ ზღვაში გამოჩნდა იგი, რომელიც 100 წელიწადში ერთხელ გამოჩნდება ხოლმე. ეკლის გვირგვინით დაწნული თმა, სხივ-შემოსილი ბჭყვრიალებდა ოქროს ნაკადში... ნაღვლიანი, მისი შეკუმშვილი ბაგე კანკალებდა გამუდმებულ ტანჯვით მოსილ სახეზედ. გვერდიდან და ხელ-ფეხიდან თქრიალით გადმოსდიოდა წმინდა სისხლი...

— მტრედებო! — ნელის ხმით გადმოსძახა მათ და ჯერეთ შეუკვრელი წყლული მიუშვირა.

ფრინველები დააფრინდნენ მის ხელებს და ნაზი ლულუნით ეწებებოდნენ მის გულს.

— ჩემი ახალგაზრდობის ფრინველნო! უჩურობდებდა მათ აღელვებული... ჩემი ბავშვობის მოგონებანო, თამაშობაში თანამოზიარენნო, ნაზო, თეთრო ოცნებანო ჩემი ბავშვობისა! განთავისუფლებთ თქვენ შრომისაგან, რომელსაც ახლა არაფრათ ავდებთ... მაგრამ დარჩებით მოსაგონებლათ იმისა, თუ მე რა ვიყავი, ვინემ ხმალი აზროვნებისა და ნამგალი ტანჯვისა არ შემუსრავდა კეთილ-სურნოვან ბაღს ჩემი



ქართული  
ენების  
სამეცნიერო  
საზოგადოება

სიყმაწვილისას... სინაზე არ არის საქირო ცოცხლებისათვის, მიეცით იგი მკვდრებს; წადით და გააფერადეთ მწარე მარტობა; წადით და შეამკეთ გვირგვინებით იმ ტანჯულთა საფლავები, რომლებიც ყველასაგან ულმობელათ მივიწყებულები არიან... და იქ განისვენებთ თქვენ ოცნების ყვავილებში და მეც იქ ჩემი სასწაულებით....

გაშალა ხელები, შეუბერა და მისი სისხლით ნაკვები მტრედები, როგორც ქარისაგან გაშლილი დროშები, ისე გაიშალნენ წკრივ-წკრივათ... ქარიც მათ მისდევდა ბზუილით...


ალექ. ნათაძე.



# ამბავი ზესკნელისა

წერილი შერეუ  
მეტეორიტები.

I.



ლანეტებს და უძრავ ვარსკვლავებს მეცნიერები ტელესკოპით (დურბინ-დით) იკვლევენ, ხოლო მეტეორიტები, რომელნიც სამყაროდან დედამიწაზედ სცივიან, რასაკვირველია ადვილათ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ ქიმიურათაც და მიკროსკოპითაც.

ზესკნელის შვილი ეხლა მიწიერი გახდა, ხელში ჩაგვივარდა, ხოლო ასტრონომთა დაუღალავემა შრომამ

ის დაამტკიცა, რომ ეს „ცის ნატეხები“ წარმოადგენენ კლდის ლოდებს და მადანს, რომელნიც ჩვენებურ ქვებისა და მადნებისაგან არაფრით არ განირჩევიან.

დღეს იქამდე კარგათ აქვსთ შესწავლული და გამოკვლეული მეტეორიტთა ვითარება, რომ აღარავითარ ეჭვს არ შეადგენს მათი ზესკნელობა. გარეგანი შავი კანი, აქა-იქ ჩაღრმავებული ადგილები თითქოს ვისმე თითებით უთამაშიაო, აგრეთვე მინერალოგიური შედგენილობა და აგებულობა, იმდენათ გავვიადვილებენ მეტეორიტის ცნობას, რომ სულაც საჭირო არ არის უეჭველათ დავესწროთ მის ჩამოვარდნას—ისეც იცნობება ქვა იქნება იგი თუ რკინა, რომ იგი არა ამ ქვეყნის სხეულია, ზესკნელის ნატეხია, კოსმიური ნივთიერებაა.

ძველის ძველი სანდო ცნობები მეტეორიტების შესახებ ინახებიან ჩინეთის ხელთ-ნაწერებში. ჩინელ მეცნიერთა პირ-



ველი ცნობა ეკუთვნის 694 წ. ქრისტეს წინეთ, არსებობს მოხსენებული წინასწარმეტყველ იოსიის წიგნში, იხსენიებს პლუტარხი, ლიბიი. დიად, ბერძნები და რომაელი მწერლებიც, მაგალითად ნუმი პომპილიას მეფობის დროს ჩამოვარდა რკინის მეტეორიტი, რომელიც მეომართა საგერიებელ ფარსა ჰგვანდა. ამ „ცის ნატებს“ ყველანი უიშითა და კრძალვით უტკიროდენ—თილისმის ანუ ავეაროზის მნიშვნელობას აღვედენ. საზოგადოთ უწინდელ ხალხს წმინდანათ მიიჩნდათ ზესკნელიდან მოვლენილი ლოდი ანუ ლითონი (მადანი)—თაყვანსა სცემდენ, აღმერთებდენ თავიანთ კერპებთა შორის სამლოცველოში ინახავდნენ და სხვ...

ყველაზედ უძლიერესი სიწმინდის სახელი აქვს მთელს ქვეყნიერებაზე განთქმულ მეტეორიტს, რომელიც მექქაშია. ეს შავი ქვა ორი ადლის სიმაღლეა, ჩატანებულია კაბას\*)

\*) კაბა—მთელ მუსულმანთა წმიდასა-წმიდა სათაყვანებელი „ცის-ნატები“ იმყოფება ქალაქ მექქაში. თვით ეს ქალაქი აშენებულია კორეი-შიტების მიერ მე-V საუკუნეში, ხოლო სიწმიდე (ტაძარი) კაბა ჯერ ძველის-ძველადვე, მაჰმადის ბარე 200 წლის წინეთ, შეადგენდა არაბთა სამლოცველოს, სათაყვანებელ სიწმიდეს, რომლის შესახებ არაბთა შორის სუფევს შემდეგი გარდმოცემა: ესვადა (ცის ნატები, შავი ქვა) ანგელოზმა სამოთხიდან მოუტანა ადამს, რომელმაც საკურთხეველად, ტრაპეზად დაუდგა კაბას. ხოლო კედელში ჩააყოლა ესვადი ღვთის ბძანებით აბრაამმა, რომელსაც წველოდა შვილი მისი იზმაილი.

კაბა ჯერ მე-III საუკუნეშივე ითვლებოდა არაბთა თემების სახალ-ხო წმიდანათ და ამიტომაც მთელი მიდამო მექქის გარშემო ხელშეუხებელ წმ. ადგილათ ირიცხებოდა. მაგრამ ფელამბარმა მაჰმედმა 630 წელს ომით აიღო მექქა. კაბა საესე დაუხვდა არაბთა ნაციონალურ კერპებთ—360 ღმერთები ეკუნტა და, როგორც ა. კრიმსკოი სწერს აქვე იყო აბრაამის და მარიამ ქალწულის სურათი ყზრით იესოთი, მაჰამედმა უბრძანა, კერპები (ღმერთები) ყველა გადაეყარნათ, ხოლო შავ-ქვას—ნაჯარ-ელ-ასვადს მაჰამედმა პატრიკ სცა, მოწიწებით კვეთხით შეეხო და ჰაჯიობის ყოველივე რიგი და წესიც დაადასტურა. მას მერე კაბა წმიდა ადგილათ შეიქმნა მთელ მსოფლიოს მაჰმადიანთათვის. ყოველი მართლ-მორწმუნე მაჰმადიანი რჯულის მიერ დავალებულია თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც წაეიდეს მექქაში და თაყვანი სცეს (აზისთვის ღიდი ცერემონია არის ადგილობრივ დაწესებული) შავ-ქვას, მეტეორიტს, ასე რომ მილიონობით მოსდის მლოცველი ყოველ წლივ... ვინც ეღირსება ამ ბედნიერებას ის კაცი ჰაჯი ხდება და ეს ხარისხი მის სახელს ემატება, მაგ. ჰაჯი მულტაფა



კელის სამხრეთ კუთხეში. სახელად ეწოდება ხაჯარ-ელ-ასვად.

საზოგადოთ ხალხის თვალში უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, როდესაც რკინის მეტეორი ჩამოვარდებოდა ხოლმე ციდან. ამ მოვლენას ღვთის წყალობათ სთვლიდენ, სასწაულს მიაწერდენ. მეტადრე აღმოსავლეთის ხალხს სწამს, რომ მეტეორის რკინა გამარჯვებას უქადდის და თანაც მის პატრონს ქრილობისაგან იფარავსო. ამიტომაც განთქმული სარღლები ცდილობდენ უეჭველათ შეეძინათ ციდან ჩამოვარდნილი რკინისაგან გაჭედილი იარაღი. მეტეორული რკინა ჯერ ღდესაც ძვირათ ფასობს, ღირსების და გვარად მისხალი მანეთიდან ვიდრე ექვს მანეთამდე (1—6 მან.),—ზესკნელიდან ჩამოვარდნილი რკინა მეტად ძნელათ იჭედება, უფრო კი ფხეკამენ, რანდავენ, ქლიბავენ, რომ საომარი იარაღი გამოიყვანონ. შესაძლებელიაო, ამბობს გამოჩენილი პროფესორი ნეიმაირი, მეტეორის რკინის ხელობამ ასწავლა დამასკელებს შესანიშნავი თოფ-იარაღის მომზადება, ხმალ-ხანჯლის გამოჭედვა, რომელთაც ბადალი არ მოენახებათ მთელ ქვეყანაზედაო.

საქართველოში სად და როდის ჩამოვარდა „ცის ნატეხი“ ამის შესახებ ცნობა ძნელია თუ გვებოვება, ხოლო რუსეთში უფრო ყურადღებით მოჰქცევიან ამ მოვლენას...

პირველი ცნობა, წერილობითი საბუთი, ეკუთვნის, 1290 წელს, დიდ-უსტიუგას, დაახლოვებით 25 თიბათვეს, შუადღისას ჩამოვარდნილა უშველებელი მეტეორიტი. აგრეთვე დაწვრილებით აგვიწერენ მნახველები ორ შემთხვევას—1421 წ. ნოემბრის 11-ს, ნოვგოროდში და 1162 წ. მოემბრის 22-ს, ბელოზერსკის მაზრაში ჩამოცვინულ მეტეორიტების შესახებ.


მაგრამ ყველაზედ საინტერესოა ის მეტეორიტი, რომელიც იპოვნა 1749 წ. ენისეის გუბერნიაში ყაზაკმა ობერ-მტე-

ჰავი მაჰმედა და სხვ. ხალხში ჰავია დიდს პატივშია, თითქმის რა წმიდანად რაცხავენ. კაბაში შესვლის უფედება აქვს მხოლოდ მაჰმადიანს, სხვა რჯულის კაცს ამ თავხედობისთვის სიკვდილით სჯიან. ინგლისელ მეცნიერთ ბარე ბევრჯელ მოიმაჰმადიანეს თავი, მაგრამ მაინც ვერ მოახერხეს კაბაში შესვლა.



იმერმა მეტეხმა. მეცნიერულის მიზნით მოგზაურობის დროს 1771 წ. მეცნიერმა პალლასმა\*) დაამტკიცა ამ მეტეორიტის სინამდვილე, რომელიც თითქმის ხალასი რკინა აღმოჩნდა, ეს „ცის-ნატეხი“ პალლასის თხოვნით ადმინისტრაციამ 250 ვერსის მანძილი გადმოათრია და კრასნოიარსკში გადმოიტანა სოფ. მედვედოვსკასთან, პირველათ ეს მეტეორიტი იწონდა 42 ფუთს ანუ 700-სამდე კილოგრამს. მას მეორე ამ „ცის ნატეხს“ პალლასის რკინა დაერქვა მეცნიერის პატივისაცემით,

\*) პალლასი—პეტრე—სიმონი, გამოჩენილი მოგზაური და განთქმული ნატურალისტი (ბუნების მკოდნე-მკვლეველი), დაიბადა ბერლინში 22 სექტემბერს 1741 წ. მამა მისი ექიმი იყო და შვილსაც ექიმთა აზნადებდა, მაგრამ პეტრე-სიმონმა უნივერსიტეტი გაათავა თუ არა ბუნების სიყვარულმა, მეცნიერებამ გაიტაცა. 1767 წელს უკვე განთქმული მეცნიერი და მდიცინის დოქტორი პალლასი იმპერატრიცა ეკატერინე II მოიწვია რუსეთში სამეცნიერო აკადემიის აღიუნკტათ და კოლეგიის ასესორად. დედოფლისავე ბრძანებით პალლასმა იმოგზაურა საქართველოში და კასპიის ზღვის იქთა მხარეში, აგრეთვე ყირიმში, ციმბირში და სხვ. ამ გამოჩენილ ჰკუის კაცს ზედნიწევით შესწავლილი ჰქონდა: ზოოლოგია (ცხოველთა ცხოვრება), ბოტანიკა (მცენარეთა ცხოვრება), პალეონტოლოგია (დედა-მიწაში ჩამარხულ უწინდელ ცხოველთა და მცენარეთა ცოდნა), მინერალოგია (მადნები, ქვები, ლითონები, ლითონდები და სხ.), გეოლოგია (დედამიწის ისტორია), ტოპოგრაფია (ხმელეთის გარეგანი სახის შესწავლა და ადგილების გვემის აღება), გეოგრაფია (დედამიწის აღწერა), მედიცინა (სამკურნალო მეცნიერება), ეტნოლოგია (ხალხის, თემის ფიზიკური და სულიერ მხარის შესწავლა), არხეოლოგია (ძველი კულტურის ნაშთების ცოდნა), ფილოლოგია (ენების ცოდნა) და აგრეთვე სოფლის მეურნეობა და ტენოლოგია (ბუნების პროდუქტებიდან საოჯახო ნივთების ხელოვნურად დამზადება).—ეს შესანიშნავი, მართლა რომ საკვირველი კაცი პალლასი გარდაიცვალა თავისავე სანშობლოში ბერლინში 1781 წ. 8 სექტემბერს. მთლად რუსეთის სამეცნიერო ლიტერატურა, (მეტადრე ბუნების მეტყველება) დიდდ დავალებულია ამ გენიოსი გერმანიელის მიერ, რომელმაც 170 მეტი წიგნი დასწერა რუსეთის ბუნების და ხალხის შესახებ; თანაც აუარებელი კოლექცია დაუტოვა სამეცნიერო აკადემიას პეტროგრადში. მოდი და ქედს ნუ მოიხრი წინაშე ვეროპისა, რომელიც პალლასისთანა გენიოსებს გვაძლევს.. მართალია დღეს ისე გაიზარდა, განვითარდა მეცნიერებათა ყველა დარგი, რომ ამათი ცოდნა, შესწავლა ერთს კაცს ვეღარას გზით ვერ შეუძლია, თუ გინდ არისტოტელის ოდნე ტინი და ნიჭი ყ ჰქონდეს, მაგრამ პალლასის უნარი მაინც ღირსია აღწვენისა, ქება დიდებისა.



უმთავრესი ნაწილი პალლასის რკინისა დღესაც ინახება სამეცნიერო აკადემიაში, პეტროგრადში.

შემდეგშიაც ერთი მეტეორიტი ჩამოვარდა ხარკოვის გუბერნიაში, სუმის მაზრაში, ლებედინის და იაგაილოვკა სოფლებს შუა, ოქტომბრის პირველს, 1787 წელს, დღისით სამ საათზე. მას მერე რუსეთში ბარე 50 შემთხვევა ყოფილა და მეტეორიტებიც ცნობილ არიან.

## II

ევროპაში ცნობილ არიან შემდეგი მეტეორიტები: 1492 წ. ნოემბრის 7-ს ენზისჰეიმში (ელზასშია) ჩამოვარდა მეტეორიტი, რომლის ნაქრები დღესაც ინახება მუზეუმში. იმპერატორმა მაქსიმილიან I-მა ეს მოვლენა მიიღო ნიშნად ღვთის ბრძანებისა, რომელიც მითომ თხოულობდა ქრისტიანთა გალაშქრებას ოსმალთა წინააღმდეგ, ჰო და მეფე თუ ამისთანა ცრუ-მორწმუნე იყო, ხალხი რაღა იქნებოდა...

1552 წ. მაისის 19-ს შლეიზინგენის ახლოდ, ტიურინგიაში ქვის წვიმამ დაუშინა ქალაქს. აუარებელი ფანჯრები ჩაღწეა და ცხენიც მოუკლა თავადს შვარცბურგ-რუდოლფტადს, ხოლო 1511 წ. სექტემბრის 4-ს მეტეორიტმა მოჰკლა მღვდელი კრემეში.

1751 წ. მაისის 26-ს ზაგრებასთან, გარშინში ჩამოვარდა შესანიშნავი მეტეორიტი. შეშინებული ხალხი ახმაურდა, თვით იმპერატრიცა მარია-ტერეზია ცნობის მოყვარეობამ დიდათ გაიტაცა და წამსვე მიანდო ზაგრების ეპისკოპოსს ყოველივე ნამდვილი გაეკო, და აი მისი შედგენილი ოქმიც: „საღამოს 6 საათზე, აღმოსავლეთით, ცაში გამოჩნდა მოელვარე მეტეორი და საშინელის ხმით გასქდა, ხმა მოვიდა რაღაც ნაირ ქუხილისა და შიშინისა. მიწაზედ ორი ლოდი დაეცა, ცაში კი ნავალი გზა ბოლივით მოსჩანდა, დიდი ლოდი ხნულში ჩაიქრა სამი წყრთა სიღრმეთ. ამათგანი პატარა არ ვიციით სად დაიკარგა, ხოლო დიდი ლოდი (მეტეორიტი) დღესაც ინახება მეტეორიტთა შესანიშნავ კალექციაში იმპერატორის მინერალოგიურ კაბინეტში, ვენაში. ეს მეტეორიტი მეცნიერებისთვის ბევრ ნაირად არის საინტერესო. კიდევ ერთი მაგალითი: 1803 წ. აპრილის 26-ში ნორმანდიაში ლ'ეგლესთან ჩამოვარდა მეტეორიტი, რომელიც დიდის დაკვირვებით გამოიკ-





ვლია ფიზიკოსმა ბიომ (Bio). მოწმენდილ ცაზე უეცრივ გამოჩნდა ცეცხლის ბურთი, რომელიც ელვასაებ მოსრიალებდა სამხრეთ აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ. ამ დროს ცეცხლის ბურთმა შესაზარად იქექა, იფეთქა და საშინელი ხმა გაისმოდა 5—6 წამი, აფეთქებას მოჰყვა ზარბაზნის ხმა, მას მოჰყვა თოფის სროლის ხმა და ბოლოს თითქოს აგრიალდა დაფ-დაფი და დოლობანდები. მეტეორი აღარ მოსჩანდა ცეცხლის ბურთით, ხოლო ბოლში იყო შეხვეული, თითქოს ღრუბელი არისო. მთელ მიდამოში, რაოდენსაც ეს ღრუბელი (ოხშივარი) ჰფარავდა, ხმაურობა ისმოდა გასროლილი ქვისა, თითქოს შურდულით გასტყორცნეს ქვა და იგი ზუზუნებსო. ბოლოს დედამიწაზედ ჩამოცვივდა ურიცხვი მეტეორიტები, არა ნაკლებ სამი ათასისა (3000), ამათში წერილობანი უფრო მეტი იყო. უდიდესი იწონიდა  $17\frac{1}{2}$  გირვანქას და უმცირესი 5—6 მისხალს.

ყველას აქ აღარ ჩამოვთვლით და საბუთად ამდენი მოვლენაც მგონი საკმარისია, ხოლო რას იტყვი, რომ მეცნიერებში მაინც დიდხანს საკამათო საგანს შეადგენდა: ვიწამოთ თუ არა, რომ ციდან ქვები და მადნები ცვივაო, თუ ეს მხოლოდ ცრუმორწმუნეთა ოცნებას მიეწერებაო. მხოლოდ განთქმულ ფიზიკოსის ხლადნის მუშაობამ 1794 წ. აშკარათ დაანახვა ყველას, რომ რკინა და ქვები ხშირათ სცივიან ციდან; ამას გვიმტკიცებს ისტორიული საბუთებიც, მეტეორიტები მოგვევლინებინა ხოლმე ცეცხლის ბურთის მსავსათ და წართლაც ანთებულია ხოლმე ნივთიერება. გარდა ამისა მეტეორიტები უეჭველათ წარმოადგენენ კოსმიურ (სამყაროდან წამოსულს) ნივთიერებას, რომელნიც წამოსულ არიან მსოფლიოს (სამყაროს) უსაზღვრო სივრციდან და დაეცემიან ხოლმე დედამიწაზედ. ხოლო წინეთ არ ყოფილან არც დედა-მიწაზედ და არც მის ატმოსფეროში (ჰაერში)

მეცნიერმა ხლადნიმ მთელი ეპოქა შექმნა მეცნიერებში მეტეორიტების შესახებ, მაგრამ მაინც გაწბილებული დარჩა, ბევრს მეცნიერს მაინც ბოღვათ მიაჩნდა, დასცინოდენ ხლადნის. ერთი მეცნიერიც თამამად ამბობდა: „ჩემს ფეხთანაც რომ ჩამოვარდეს ციდან მეტეორი, მაინც არ დავიჯერებო. მეორე მისი კოლეგა ჰკიცხავდა ხლადნის: აი სწორეთ მაგისტანა მეც-



ნიერები ავრცელებენ ცრუ-რწმენას ხალხშიო, ხრწნიან ბრძანებთ, რომ იპრიანა ღმერთმა და დატანჯულ მეცნიერის ხლადნის ბედზე ზედი-ზედ ჩამოვარდა ციდან მეტეორი. ევროპაში პირველი მეტეორიტი ჩამოვარდა 16 თიბათვეს, 1793 წ. სიენში; მეორე — 13 დეკემბერს 1795 წ. — უოლდ-კოტტეჯში, იოკშირთან და მესამეც, როგორც ზევით მოვიხსენეთ, 26 აპრილს 1803 წ. ნორმანდიაში ლ'ეგლესთან, მთლათ ევროპის ფიზიკოსები დაფაცურდენ და აუარებელ კვლევა-ძიებამ, ყოველივე ეჭვი განფანტანა. ამათაც გამოაქვეყნეს ნამდვილი ბუნება და თვისება მეტეორიტისა „ცის ნატეხისა“. და მით ხლადნის ავტორიტეტიც დიდათ აღადგინეს.

აქამდე ათასამდე მეტეორიტიც ცნობილი მეცნიერებაში, რომელნიც სხვა და სხვა დროს ჩამოვარდნილან, დღესაც ევროპაში ყოველ წლივ სამი მეტეორიტი მაინც ჩამოვარდება ხოლმე, მთელ დედამიწის ზურგზედ კი ყოველ წლივ 600--700 მეტეორიტი მაინც უნდა ჩამოვარდეს, სიდიდით მეტეორიტები მრავალ გვარიანი არიან, მაგალითად რკინის ბელტი ბრაზილიაში ჩამოვარდნილი (ს. კატარიანასთან) იწონდა, 2250 კილოგრამას\*) მეორე მეტეორიტი რკინის უშველებელი კლდე, ბრაზილიაშივე ჩამოვარდნილი 7000 კილოგრამს იწონიდა.

ქვის მეტეორიტები ძრიელ ნაკლებ იწონენ, იშვიათად აღემატებიან 50 კილოგრამს; უფრო ხშირათ წერილმანი ქვის მეტეორიტები ცვივა. ერთხელაც უფსალის ახლოდ (შვეიცარია) 1869 წ. იანვრის 1-ს მეტეორთა წვიმა მოვიდა — დათოვლილ მთებს შავი მტვერივით დაედო.

ახლა ისიც ვსთქვათ, როგორ და საიდან წარმოსდგებიან მეტეორიტები? წინეთ ფიქრობდენ, რომ ვულკანის ამოსროლილი (მაგალითად მთვარეს ვულკანი) კლდე ანუ რკინა ჯერ დიდხანს დასრიალებდა სამყაროს უსაზღვრო სივრცეში და მერე ჩვენს დედამიწას შეეფეთა და მაზედ დაეცაო, ეს თეორია უკუ აგდეს. დღეს მეცნიერთა მეტი ნაწილი ემხრობა სკიაპარელის აზრს, რომელიც მეტეორიტებს უკავშირებს კუდიან ვარსკვლავებს (კომეტა), მაგალითად, რომელიმე კომეტა

\*) კილოგრამში 2 1/2 გირვანქა.



ან მთლად იმსხვრევა ან მარტო კული დაემსხვრევა ხოლომე და აქედან წარმოსდგებიან მეტეორიტები და ის „მცვივანა ვარსკვლავებიც“. მაგალითად, კომეტა (კულიანი ვარსკვლავი) ბიელა სადლაც დაიმსხვრა და აგერ 40 წელიწადი მეტია აღარ გამოჩენილა. წინეთ კი 10—15 წელიწადში ერთხელ გაივლიდა ხოლმე დედა-მიწის ატმოსფერაში. მეცნიერმა ვეისმა უკეთ შეამუშავა სკიაპარელლის თეორია და საბოლოოთ დაასაბუთა; ისიც აჩვენა, რომ მეტეორიტებიც ცის იმავე უბნიდან წამოვლენ ხოლმე ჩვენკენ, საიდანაც „მცვივანა ვარსკვლავები“ (ლეონიდებიდან)


მეცნიერებმა შეადარეს შემადგენი ნაწილები დედა-მიწისა და მეტეორიტისა. ქიმიურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა ის საკვირველება, რომ ჩვენთვის სრულებით მიუწოდომელს, ზესკნელის უსაზღვრო სივრციდან ჩამოვარდნილი ნატეხები (ქვის ან რკინის ლოდები) არ შეიცავენ არც ერთს იმისთანა ელემენტს, რომელიც არ არსებობდეს დედამიწაზედაც. მხოლოთ მეტეორიტში არ აღმოჩნდა არავითარი ნიშან-წყალი ორგანიზმთა (მცენარის ან ცხოველის ნაწილი) და აგრეთვე არა სჩანს ატმოსფერა და ზღვის ნივთიერებანი.

როგორც აღწერილობიდან გავიცანით არსებობენ ორ გვარი მეტეორიტები ქვისა და რკინისა, რკინის მეტეორიტი შეიცავს უმთავრესად ბუნებრივ ხალას რკინას, თანაც საკმაოდ ურევია ნიკკელი და მკირეოდენიც გოგირდი, ფოსფორი. ხშირათ პოულობენ ნახშირბადსაც, ამათ გარდა 22 ელემენტი კიდევ ურევია, თუმცა კი ძირელ ნაკლებად.

ადამიანი ველურობის ხანაში მეტეორულ რკინას ხმარობდა შუბისა და ისრის სიმწვეტისთვის და სხვ., ხოლო როცა ადამიანი განვითარდა მდნიდან რკინის გამოდნობაც ისწავლა.

დასასრულ მეცნიერება იმ აზრს დაადგა, რომ კულიანი ვარსკვლავები (კომეტა), პლანეტის სატურნის რკალები და სამყაროშივე აღმოჩენილი ნისლი, ყველა ესენი არიან დაგროვილი მცვივანა ვარსკვლავები და მეტეორიტები. მზის სითბოსაც თითქმის იმას მიაწერენ, რომ მზეზე მეტეორიტები სკვივიან და ამ გვარათ ცეცხლს აძლიერებენ, კერას არ ანელებენო. მთელს მსოფლიოში, სადამდინაც-კი ადამიანს გზანების თვალი მისწვდა, სრული მხოლოობა, თანამობა აღმოჩნდა მატერიასი (ნივთიერების) ვითარცა ცათა მინი ზე, ვგრეთცა ქვეყანასა ზედა ქვე.

ილ. მლობაზიშვილი.



ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1915 ГОДЪ

на ежедневную газету

# „КАВКАЗСКОЕ СЛОВО“



Адресъ редакціи и конторы: Тифлисъ, Барятинская, 6.

## Подписная цѣна на газету:

для город. подписчиковъ	для иногороднихъ
на 1 годъ . . . 7 р. — к. . . . .	8 р. 50 к.
на 6 мѣс. . . . 4 „ — „ . . . . .	5 „ — „
на 3 мѣс. . . . 2 „ — „ . . . . .	2 „ 50 „
на 1 мѣс. . . . — „ 80 „ . . . . .	1 „ — „

**ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ:** за строку петита—для мѣстныхъ объявленій—до текста—12 коп., послѣ текста—6 коп., для иногороднихъ объявленій—25 коп. и 12 коп. За многократныя объявленія скидка.

Редакторъ: Ю. ф. Семеновъ.

Издатель: Тифлисское Т-во Печатнаго Дѣла.

Открыта подписка на 1915 годъ

НА ГАЗЕТУ

# „Закавказская Рѣчь“

(Годъ изданія шестой).


## Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисъ.	Въ провинціи.
На годъ . . . . .	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
„ полгода . . . . .	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца . . . . .	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяць . . . . .	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

**АДРЕСЪ:** Тифлисъ, редакція газ. „Занавказская Рѣчь“, Дворцовая ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Занавказская Рѣчь“.

Редакторъ К. П. Тумановъ Издатель Э. З. Горделадзе.





3/57

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# ჯეჯილი

საქმანწვიდო ნახატებიანი ჟურნალი  
ოცლა ბეჰჰსე ნალიზადი.

ჰეჰილო დაარსებულა 1890 წელს.

გამოვა 1915 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი  
განყოფილებაა, ზატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება

4 მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში — «ჯეჯილის» რედაქციაში,  
(არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго  
журнала „Джеджили“